საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვური სიტყვაა, ტყეებით და ჭიებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 20 თებერვალი. 2019 წ. №36 (8702) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

საფრანგეთთან მეგობრობა – დახვარი ჩვენი საერთო მტრებისთვის!

სალომე ზურაბიშვილმა და **ემანუელ მაკრონმა** ხელი მოაწერეს თანამშრომლობის დეკლარაციას „ქართულ-ფრანგული დიმიტრი ამილახვრის სახელობის დიალოგის“ დაფუძნების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას პოლიტიკური და საპარლამენტო, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ვაჭრობის და ეკონომიკის, ასევე, კულტურისა და განათლების სფეროებში;

„2019 წლის 19 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი პარიზში გამართული შეხვედრის ფარგლებში:

ითვალისწინებენ რა 1994 წლის 21 იანვარს, პარიზში ხელმოწერილი „საქართველოს რესპუბლიკასა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთგაგების, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ პრინციპებს;

იღებენ რა მხედველობაში საქართველოსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემდეგ ორმხრივი თანამშრომლობის შთამბეჭდავ დინამიკას;

ხაზს უსვამენ რა საქართველოსა და საფრანგეთს შორის მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის მნიშვნელობას;

აცხადებენ „ქართულ-ფრანგული დიმიტრი ამილახვრის სახელობის დიალოგის“ დაფუძნებას, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას პოლიტიკური და საპარლამენტო; თავდაცვისა და უსაფრთხოების; ვაჭრობის და ეკონომიკის; ასევე, კულტურის და განათლების სფეროებში;

აღნიშნული დიალოგის თანათავმჯდომარეები იქნებიან საქართველოსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები;

დიალოგი ჩატარდება წელიწადში ერთხელ, როტაციის პრინციპით, თბილისსა და პარიზში;

ხელმოწერილია პარიზში, 2019 წლის 19 თებერვალს, ორ ეგზემპლარად, ქართულ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია“, – აღნიშნულია თანამშრომლობის დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა.

დიმიტრი ამილახვარი, რომლის სახელსაც ატარებს ქართულ-ფრანგული დიალოგის შესახებ თანამშრომლობის დეკლარაცია, დაიბადა 1906 წელს.

1921 წლამდე სწავლობდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ემიგრაციაში ყოფნისას გახდა საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი.

მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა გენერალ შარლ დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის“ არმიაში. 1942 წელს გმირულად დაიღუპა ელ-ალამეინის ბრძოლის დროს. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საპატიო ლეგიონის უმაღლესი ორდენი.

ემანუელ მაკრონი: იცოდეთ, საფრანგეთი ყოველთვის იქნება საქართველოს გვერდით!

იცოდეთ, საფრანგეთი ყოველთვის იქნება საქართველოს გვერდით, როგორც ეს იყო ადრე და როგორც ეს იყო 2008 წელს, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

„მადლობას გიხდით, რომ ორმხრივი სახელმწიფო ვიზიტების ფარგლებში პირველ ქვეყნად საფრანგეთი აირჩიეთ. იცოდეთ, საფრანგეთი ყოველთვის იქნება საქართველოს გვერდით, როგორც ეს იყო ადრე და როგორც ეს იყო 2008 წელს. შეხვედრისას ქალბატონ პრეზიდენტს განვუცხადე, რომ საფრანგეთი განაგრძობს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის სასარგებლოდ ჩართულობის პოლიტიკა მნიშვნელოვანია. ჩვენ ხელს შევუწყობთ ამ ინიციატივის წარმატებას. ჩვენ ასევე განვიხილეთ უსაფრთხოების სიტუაცია კავკასიის რეგიონში, შავ ზღვაში, რეგიონალური გამოწვევები. ასევე ვისაუბრეთ ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაზე. სალომე ზურაბიშვილმა საქართველოში მიმიწვია და მოხარული ვიქნები გეწვიოთ. ქალბატონო პრეზიდენტო, თქვენ აქ საფრანგეთში მხოლოდ მეგობრები გყავთ“, – აღნიშნა ემანუელ მაკრონმა.

დიდი წარსულიდან – დიდი მომავლისკენ



ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები

ანუ ფრიად ნაწვალები წიგნი, რომელიც დროის დიდ ქვაბშიც არ ეტევა, არამცთუ ლალედ იყოს პატარაში

6

მეც ჩემი ნატვრა შევკადრე...

„მონეზამ“, პრემიერის სიტყვა და ძალლის ყეფა ჩემთვის ერთიაო...

4

პროფესია მისი სიამაყეა...

დავით სერგეენკომ თვითმფრინავის ბორტზე ირანელი ქალი გადაარჩინა

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ თვითმფრინავის ბორტზე ირანის მოქალაქეს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა და გადაარჩინა.

ქართული მედიის ცნობით, შემთხვევა რამდენიმე დღის წინათ ლაინერის ბორტზე მოხდა, რომელიც ჟენევა-სტამბოლის ავიარეისს ასრულებდა. მაშინ მინისტრი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამიტიდან სამშობლოში ბრუნდებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ჟენევაში მცხოვრებმა ირანელმა ფრენის დროს შეუძლოდ იგრძნო თავი. სერგეენკომ ქალს დახმარება აღმოუჩინა და ფრენის დასრულებამდე მის ჯანმრთელობის მდგომარეობას პირადად აკონტროლებდა.

ირანელმა ქალმა ქართველ მინისტრს მადლობის წერილი გამოუგზავნა.

„პატივცემულო სერგეენკო, გწერთ, რათა გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ იმ დახმარებისათვის, რომელიც ჟენევა-სტამბოლის რეისით ფრენის დროს გამოიჩინეთ ჩემ მიმართ. მსგავსი პროფესიონალური და გულისხმიერი დახმარება ბორტზე არასოდეს მიმიღია. თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ! კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას დახმარებისათვის და იმედს ვიტოვებ, კვლავ შეხვდებით და გაგაცნობთ ჩემი ოჯახის წევრებს“, – წერს ირანელი ქალი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მინისტრი უცნობ ადამიანებს დახმარებას უწევს.

2013 წლის სექტემბერში სერგეენკო ავიაშოუზე მიდიოდა, როდესაც დაინახა მოსკოვის გამზირზე, თუ როგორ დაეჯახა ავტომობილი ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ქვეითს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დაშავებული დენის ახმედოვი აღმოჩნდა. თვითმხილველების თქმით, სერგეენკო „სასწრაფო დახმარების“ მისვლას არ დაელოდა და დაშავებულს საკუთარი, პიერ კარდენის ფირმის ჰალსტუხით თავად გადაუხვია ფეხი და სისხლდენა შეუჩერა. მამაკაცს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა, თუმცა, დახმარების დროულად აღმოჩენის წყალობით ყველაფერი მშვიდობით დასრულდა.

დღეისთვის პიერ კარდენის ჰალსტუხი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში ორგანიზაციის ჯილდოებისა და მედლების გვერდით ინახება.

პრემიერ-მინისტრმა ევროპის საინვესტიციო ბანკს მადლობა გადაუხადა!

საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის 250 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფისა და წარმატებული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ვიცე-პრეზიდენტმა ვაზილ ჰუდაკმა შეხვედრაზე, რომელიც დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ყურადღება გამახვილდა სატრანსპორტო და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით პარტნიორობაზე და იმ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც ქვეყანაში EIB-ის დაფინანსებით განხორციელდა. მათ შორის საუბარი შეეხო ევროპის საინვესტიციო ბანკის პროექტ Innovfin-ს, რომელიც ინოვაციური პროექტების დაფინანსებას ემსახურება და აღინიშნა, რომ ის მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ინოვაციური პროექტების განვითარებას.



პრემიერმა ასევე განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საქართველოს საგზაო დერეფნის განვითარების მიმართულებით ბანკის მიერ ბოლო წლებში განხორციელებულ ინვესტიციებს და ბანკის ფინანსურ წვლილს სატრანსპორტო კომუნიკაციის, საგზაო და წყლის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში.

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი 250 მლნ ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი მიმართული იქნება კონკრეტულ პროექტებზე, როგორიცაა რუსთავი-წითელი ხიდისა და რუსთავი-სადახლოს მაგისტრალების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მოგეხსენებათ, აღნიშნული მაგისტრალები საქართველოს საგზაო-სატრანსპორტო ხერხემლის მნიშვნელოვან მონაკვეთებს წარმოადგენს და ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას და ჩვენი სატრანზიტო ფუნქციის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ჩვენ ასევე მივესალმებით ევროპის საინვესტიციო ბანკის გადაწყვეტილებას, გაზარდოს ოპერაციების მოცულობა კერძო სექტორში და ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებას.

EIB-ის მიერ დღემდე საჯარო სექტორში დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების მოცულობა დაახლოებით 1,33 მილიარდ ევროს შეადგენს, ხოლო კერძო სექტორში ბანკს 215,8 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი აქვს გამოყოფილი.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის პროგრამა მინიმუმამდე დაიყვანს ბუნებრივი კატასტროფების გარდაუვალობას

„ყველამ კარგად ვიცით, როგორ გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება ეკოლოგიაზე, როგორ ემუქრება ადამიანების სიცოცხლეს და მის კეთილდღეობას და რა მასშტაბის ზარალს აყენებს ეკონომიკას. ცხადია, ამ გამოწვევას ვერც ერთი ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდება და, შესაბამისად, საჭიროა საერთო ძალისხმევის გაერთიანება“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პროგრამის წარდგენის პრეზენტაციაზე.

მამუკა ბახტაძის განმარტებით, საქართველოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისა და მრავალფეროვანი კლიმატური პირობების გამო, ქვეყანას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს კლიმატური ცვლილებებისა და მათგან მომდინარე საფრთხეებისგან.

„შესაბამისად, საქართველო დგამს ნაბიჯებს, რათა კლიმატური რისკები და მათგან დაცულობის უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყოს განვითარების დაგეგმარებასა და განხორციელებაში.

ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ოფიციალურად ვხსნით კლიმატის მწვანე ფონდისა და შვეიცარიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოებას, რათა უკეთ შევძლოთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ბუნებრივ საფრთხეებთან გამკლავება. კლიმატის ცვლილება დღითიდღე სულ უფრო ინტენსიურად იჭრება ჩვენს ყოველდღიურობაში და არღვევს ჩვეულ რიტმს. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების პოლიტიკა არსებულ გამოწვევებს უნდა პასუხობდეს.

ჩვენს სამთავრობო პროგრამაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გვაქვს წარმოდგენილი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების რისკების შესამცირებლად დაკვირვების ქსელის გაფართოება, მოდელირების შესაძლებლობების გაძლიერება და ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემის დანერგვა. შესაბამისად, დღეს წარმოდგენილი პროექტი უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია სწორედ ამ მიზნის მისაღწევად. ამ ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელებით საქართველოს უკვე მიეცემა კლიმატური ინფორმაციის ანალიზისა და ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზის შესაძლებლობა“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ცხრა „ბესელიელი“ უმრავლესობას დააცხრა!..

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, 2024 წლამდე შეჩერდება რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა უვადოდ გამწესება. კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს.

კანონპროექტის ავტორის ეკა ბესელიას განცხადებით, სხდომაზე მოხდა ლუსტრირება და გამოჩნდა, რომ საზოგადოება სხვა მხარეს დგას, იუსტიციის საბჭო და კომიტეტის წევრთა ნაწილი კი სხვა მხარეს.

„იურიდიული კომიტეტის ის წევრები, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს, იმ არგუმენტებს იშველიებდნენ, რასაც იუსტიციის საბჭო. ფაქტია, რომ საზოგადოება ერთ მხარესაა და მეორე მხარეს დგანან იუსტიციის საბჭო და კომიტეტის ეს წევრები. სესიაზე კიდევ ერთხელ მოხდება დეპუტატთა ლუსტრაცია. შემდეგი ნაბიჯი არის ხელმოწერები და კონსტიტუციური ცვლილება“, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

კანონპროექტი ინიციატორები არიან — ეკა ბესელია, ლევან გოგიჩაიშვილი, გედევან ფოფხაძე, ალექსანდრე ერქვანია, ზვიად კვაჭანტირაძე, კობა ნარჩემაშვილი, ლევან კობერიძე, დავით ჭიჭინაძე და ოთარ ჩრდილელი. „ქართული ოცნების“ 9 დეპუტატი დანარჩენ უმრავლესობას უზენაეს სასამართლოში დასანიშნი მოსამართლეების სიის გამო დაუპირისპირდნენ.

იურიდიული კომიტეტის შემდეგ გუშინ კამათი პარლამენტის სესიაზე გაგრძელდა...

გედევან ფოფხაძე: გადაწყვეტილება მორალური პასუხისმგებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი

წინასწარ რაღაც ვარაუდებზე საუბარი და მომავლის მოდელირება არ მგონია სწორი იყოს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის გ მისი და დეპუტატების ნაწილის მიერ გუნდის შესაძლო დატოვებასთან დაკავშირებით დასმული საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

რაც შეეხება მოსამართლეების საკითხს, მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ დეპუტატებმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, რომელიც მორალური პასუხისმგებლობით იქნება ნაკარნახევი. როგორც ცნობილია, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, პირველი მოსმენისთვის, დაჩქარებული წესით, განიხილა კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად, 2024 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეჩერდეს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის უვადოდ განწესება.

კომიტეტმა კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა. კანონპროექტის მოსმენა დღეს გავიდეს.

„კუპონა“ რომან გოცირიძეს ენა ნამეტნავად უსწრებს წინ...

„ვაფრთხილებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეეშვას სახიფათო თამაშს. ის, ვინც ჩაშლის ანაკლიის ისტორიულ პროექტს, ხალხი დაახრჩობს ანაკლიის ღრმაწყლოვან ზღვაში. გინდ სიმბოლურად გაიგეთ ეს სიტყვები, გინდ, ასე ვთქვათ, სხვა მნიშვნელობით. არავის არ ეპატიება ამ პროექტის ჩაძირვა. კეთილი ინებეთ და გამოფხიზლდით უმრავლესობა და ეს საკითხი განვიხილოთ პარლამენტში ყველამ ერთად“, — ამის შესახებ თიბისი ბანკის საქმესთან დაკავშირებით „ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე განაცხადა. რომან გოცირიძის თქმით, თიბისი ბანკის ირგვლივ შექმნილმა ვითარებამ, შესაძლოა დააზარალოს ანაკლიის ისტორიული პროექტი და მის დაფინანსებას საფრთხე შეექმნას.

„თიბისი ბანკის“ საქმე კონკრეტულ საკითხზე დაწყებული გამოძიებაა!

საქართველოს ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი ამბობს, რომ „თიბისი ბანკის“ საქმე კონკრეტულ საკითხზე დაწყებული გამოძიებაა.

„დიდი სურვილი მექნებოდა, გავმიჯნოთ ორი საკითხი ერთმანეთისაგან. ერთია ანაკლიის პროექტის მშენებლობა და ამ მიმართულებით, როგორც კონსორციუმის, ასევე საქართველოს მთავრობის, რამდენიმე ძირითადი სტრუქტურის მიერ აქტიური თანამშრომლობა, კომუნიკაცია და დახმარება და სრული მხარდაჭერა ამ პროექტისა მეორე მხრივ, ის კვლევა და საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც ეხება TBC სრული ბანკთან დაკავშირებულ გარიგებას,“ — აცხადებს მაია ცქიტიშვილი.

შეგახსენებთ, რომ 14 თებერვალს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა ინფორმაცია თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მამუკა ხაზარაძისა და მისი მოადგილის ბადრი ჯაფარიძისთვის ხელმოწერის უფლების შეჩერებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის სამეთვალყურეო საბჭოდან გაწვევას მოითხოვა. ამისთვის კი თიბისი ბანკის აქციონერთა კრებას 2-თვიანი ვადა დაუწესა. ეროვნული ბანკის ცნობით, მისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი თიბისი ბანკის შემოწმებისას აღმოჩენილი ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებია, რომლებიც 2007-2008 წლების ტრანზაქციებს უკავშირდება.

მამუკა ხაზარაძე თანამშრომლებს აიმედებს!

თიბისი ბანკის დამფუძნებელმა თანამშრომლებს წერილი გაუგზავნა:

„ჩვენ ბიზნესისტორიის 29 წლის განმავლობაში ვიმყოფებით უპრეცედენტო შემოტევებისა და წნეხის ქვეშ სახელმწიფო უწყებების მხრიდან. ეს არის ორკესტრირებული თავდასხმა, რომლის მიზანია, ჩამოგვაშორონ მე და ბადრი ჩვენ საკუთარ საქმეს, რომელსაც 27 წელი შევწირეთ თქვენთან ერთად. ასევე, ჩვენ და ბანკს დაგვაბრალონ ყველაზე საშინელი დანაშაული, ფულის გათეთრება და შემდეგ დაეპატრონონ ბანკს.

ამას ვერ დავუშვებთ!

ჩვენი გუნდი არის წარმატების მაგალითი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

ჩვენ ერთად შევქმენით უნიკალური კულტურის, ურთიერთობებისა და ტრადიციების მქონე პროფესიონალთა გუნდი, დღეს ამ გუნდის გახლეჩა და დაშლა უნდათ.

ამას ვერ დავუშვებთ!

დღეს, როგორც არასდროს, ერთად დგომა არის გადარჩენის ერთადერთი შანსი, ბრძოლა არ იქნება ხანმოკლე. სჭირდება გამძლეობა და სიმამაცე.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ უთანასწორო და უსამართლო ომში.

ჩვენ ვიბრძოლებთ!

ჩვენ გავიმარჯვებთ!“

მიხეილ სააკაშვილი ნანობს, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყნიდან არ გააძევა

ონლაინტელევიზია „Krym TV“-ს ჟურნალისტის, ჟურნალ „Forbes-უკრაინის“ ყოფილი რედაქტორის ვლადიმირ ფედორინისათვის მიცემულ ინტერვიუში, სათაურით „სააკაშვილი – წელიწადი დევნილობაში“, რომელიც ბრიუსელში ჩაიწერა, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, უკრაინის ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი მრავალ პოლიტიკურ თემას ეხება. მათ შორის ლაპარაკობს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, ბიძინა ივანიშვილისადმი დამოკიდებულებაზე, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე, ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაზე, თანაგუნდელთა პატიმრობაზე და სხვა.

როგორია თქვენი ყოველდღიურობა? – ამ კითხვაზე მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა, რომ ჰქონდა, მაგალითად, ქართული დიასპორის ყრილობა. **„მთელი ევროპიდან ჩამოვიდნენ თვითმფრინავებით, მატარებლით და საქართველოდან გამოგზავნეს 100 ადამიანი, – არა მხოლოდ მმართველი პარტიის წევრები, არამედ მათი ბინძური ტრიუკების სპეციალისტები, ასევე 6 სატელევიზიო არხი. ჩამოვიდა ასევე სამი რუსული არხი პროვოკაციების მოსაწყობად. მიზანი ღონისძიების ჩაშლა იყო. როგორ მივცეთ ღონისძიების ჩაშლის შესაძლებლობა – აი, არსებობისთვის ბრძოლა! როგორ მიმეცა შესაძლებლობა, თავში ჩაერტყათ ბოთლი, რასაც აპირებდნენ! როგორ მიმეცა შესაძლებლობა, შეესხათ შავი საღებავი, რასაც აპირებდნენ!**

მიხეილ სააკაშვილის თქმით, **მასზე საქართველოში ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ და ეს ვითარება მას სულაც არ ახარებს.**

„ხალხი ჩემგან რაღაც მოქმედებას მოელის, სხვანაირად ქვეყანა, უბრალოდ, იღუპება. ეს ისეთივე შერძნებაა, თითქოს შენი შვილი იღუპება, რომელიც გააჩინე, გამოკვებე, მეექვსე კლასამდე მიიყვანე და უცებ რაღაც საშინელი გრიპი შეეყარა, გართულებებით. აი, მთელი ამბავი. თავიდან იყო სურდო, ახლა უკვე ფილტვების ანთებაა, რომელიც მენინგიტში გადაიზარდა და გადარჩენაა საჭირო, სასწრაფო ზომებია მისაღები და მშობელი ვერ იტყვის, ბავშვი ჩაგაბარეთ და ახლა მიხედეთ ბავშვსო. ეს უკვე შიგნით გტკივა და შეუძლებელია რეაგირების გარეშე დატოვება. მე პასუხისმგებლობას ვგრძნობ . ჩემი პირმშო იღუპება“.

შეკითხვაზე: **საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რომ ჩასულიყო, „ქართული ოცნება“ ვერ გაიმარჯვებდაო?“** – მიხეილ სააკაშვილი უპასუხებს, **„დიახ, ეს ასეაო“.**

„ნებისმიერი 72 საათის განმავლობაში, როცა მე საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გავლას შევძლებ, ახლაც კი, არჩევნების გარეშე, ეს რეჟიმის დასასრული იქნება... ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგების შემდეგ, მე ვარ ერთადერთი სახელმწიფო ლიდერი, რომელსაც მოქალაქეობა ჩამოართვეს. მე არც დევნილი ვარ და არც პოლიტემიგრანტი, რომელიც უსამართლო სასჯელს გაექცა. მე ვითხოვდი გავესამართლებინეთ, მე ვითხოვდი გავსამართლებულიყავი უკრაინაში, მზად ვიყავი მეთანამშრომლა ქართველ სამართალდამცავებთან, ოღონდ საჯაროდ და საზოგადოების დაკვირვების ქვეშ. მაგრამ დამიჭირეს უკრაინაში, ხელბორკილები დამადეს და პოროშენკო საქართველოს მთავრობას ემუდარებოდა, წავეყვანეთ, მაგრამ ქართველებმა გარკვევით უარი უთხრეს, ანუ ისინი თითქოს მასამართლებენ, მაგრამ ქართულ ციხეში ჩემი დანახვა არ სურთ“.

შეკითხვა ივანიშვილის თაობაზე: **„არ ნანობთ, რომ თავის დროზე საქართველოდან არ გააძევეთ?“**

„ვნანობ, ვნანობ ერთმნიშვნელოვნად. ოლიგარქებს არ უნდა ეფერო, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი დახარბდა ივანიშვილის დაპირებებს.საზოგადოებას უნდა მისცე ყველაფრის გამოცდის შესაძლებლობა. იყო ასეთი ცდუნება და საზოგადოებას ჰქონდა მოთხოვნილება და ეს მტკივნეული გამოცდილება ყველას უნდა გადაეტანა. ის ხალხს „უფასო ფულს “ ჰპირდებოდა და მან მიიღო უფასო ფული ბიუჯეტიდან“.

ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილი ლაპარაკობს დაპატიმრებულ თანაპარტიელებზე, მათ შორის ყოფილ შს მინისტრზე ვანო მერაბიშვილზე, თავდაცვის ყოფილ მინისტრზე ბაჩო ახალაიაზე, გუნდის სხვა წევრებზე.

„ხალხი მიეჩვია, რომ ვანო მერაბიშვილი ქრონიკულად უნდა იჯდეს ციხეში და უკვე აღარავის ახსოვს, რისთვის ჩასვეს“.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, **საპრეზიდენტო არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილმა მათზე 40-ჯერ მეტი დახარჯა და ბევრი დასავლელიც ვერ ხვდება ამას.**

„ამას წინათ ერთ-ერთი სულელი მეორეხარისხოვანი ამერიკელი მოღვაწე აფასებდა და თქვა, სააკაშვილი და ივანიშვილი ერთნაირები არიან, მათ საქართველო მძევლად ჰყავთ აყვანილიო. ჩემმა ნაცნობმა რომ ჰკითხა, „როგორ არიან სააკაშვილი და ივანიშვილი ერთნაირებიო“, უპასუხა, ორივე მილიარდერიაო და თავისი არაფორმალური მექანიზმებით საქართველოს აკონტროლებენო. უგუნური! დარწმუნებულია, რომ მილიარდერი ვარ“.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, დასავლეთში, მათ შორის აშშ-ში, მომრავლდნენ პოლიტოლოგები, რომლებიც შარლატანებს ზრდიან, რათა მასები აკონტროლონ.

www.radiotavisupleba.ge

ნაცების ფიურერს არც არაფერი უსწავლია და არც არაფერი დავიწყებია

სააკაშვილის კიდევ ერთი ოპუსი!
ამჯერად ინტერვიუს სახით.

მიშა კვლავაც ამტკიცებს, რომ ენას ძვალი არა აქვს და ამ უძვლო ენას, მხოლოდ თავის სასარგებლოდ (ყოველ შემთხვევაში, მას ასე ჰგონია) იქნევს და საბოლოოდ, იჭრის თავს.

მისი თქმით, **„მასზე საქართველოში ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ“.** იქვე იმასაც ამატებს, მე ეს ვითარება სულაც არ მახარებსო (ვითომ, ნახეთ რა დემოკრატი ვარო). მაგრამ აშკარად პირიქითაა. არ ახარებს იმიტომ, რომ გასახარი არაფერია, მასზე საქართველოში არავინ იმედებს არ ამყარებს, არათუ დიდს, მცირესაც კი. იმათი რიცხვი, ვისაც ოდესღაც მართლაც ეიმედებოდა, უკვალოდ გაილია, გაქრა. ჯერ ორად გაიყო, უფრო ინტელექტუალურ ნაწილს – ევრონაცებს არათუ მისი იმედი აქვთ, საერთოდ არ დაენახვებათ.

შემდეგ: **„ხალხი ჩემგან რაღაც მოქმედებას მოელის, სხვანაირად ქვეყანა, უბრალოდ იღუპება“.**

მართალია, ხალხი მართლაც ელოდება მისგან მოქმედებებს, ოღონდ არა რაღაც გაუაზრებელს, როგორც სჩვევია, არამედ კონკრეტულს – ერთხელ და სამუდამოდ დაანებოს თავი საქართველოში დაბრუნებაზე მიუნჰაუზენურ ჩალიჩს (სათავეში დაბრუნებაზე ფართიფურთს), დაჯდეს სადმე ჰოლანდიაში, რომელიმე არხის ნაპირზე, წრუპოს ლუდი და წეროს მემუარები.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ საქართველოში რომ ჩავსულიყავი, „ქართული ოცნება“ ვერ გაიმარჯვებდაო. ის კი არა, ნებისმიერი 72 საათის განმავლობაში, როცა მე საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გავლას შევძლებ, ახლაც კი, უარჩევნებოდ, რეჟიმის დასასრული იქნებაო.

ამას ისე უბორძიკოდ ამბობს, თითქოს მართლაც სჯეროდეს, რასაც ამბობს. სიმართლე კი ის არის, სააკაშვილი არჩევნებისას საქართველოში რომ ჩამოსულიყო, მეორე ტური არ იქნებოდა საჭირო – პირველმა ტურმა ქართველობა დაარწმუნა, რომ შესაძლებელი იყო ძველი რეჟიმის დაბრუნება და იმიტომაც მოიგლიჯა იმდენი ამომრჩეველი ნაცების წინააღმდეგ.

ასე რომ, ტყუილად იიმედებს თავს ბატონი სააკაშვილი. 72 საათი კი არა, სამი თვეც რომ იაროს აღმა-წაღმა, ამერ-იმერში თავის უსაქმურ თანამებრძოლებთან ერთად, ბევრი არ გამოიდებს თავს მის უკან სადევნელად.

ვნანობ, ვნანობ ერთმნიშვნელოვნად, რომ თავის დროზე ივანიშვილი საქართველოდან არ გავაძევეთ, – ოხრავს საქართველოდან თავად გაძევებული ექსპრეზიდენტი. თურმე, იმან შეუშალა ხელი, რომ „საზოგადოების აზრი დახარბდა ივანიშვილის დაპირებებს“, ანუ საზოგადოებამ, ხალხმა შეუშალა ხელი ამის გაკეთებაში და, პირიქით, ხალხმა თვითონ სააკაშვილი გაძევა ქვეყნიდან.

დაბოლოს, მიშიკო გულმოკლულია, რომ **დასავლეთში, მათ შორის, აშშ-ში, მომრავლდნენ პოლიტოლოგები, რომლებიც შარლატანებს ზრდიან,** ანუ წუხს, რომ ძველებურად „უპრაგონოდ“ ვეღარ „გულაობს“ დასავლურ მასმედიაში, ისევე ხელაღებით ვეღარ ატყუებს მათ, მის მიმართ პრესის დამოკიდებულება კრიტიკული და უნდო გახდა.

აი, ასეთია ამ ინტერვიუს შინაარსი და სულისკვეთება. მოკლედ, ჩვენს მოუცილებელ ტკიპას არც არაფერი უსწავლია და არც არაფერი დავიწყებია, გარდა იმისა, რომ ერთ დროს საქართველოს მმართველი იყო და იქიდან წასვლა აიძულეს.

მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა!..

სანდრო ალექსიძე

თბილისის მერი საქართველოში შვედეთის ელჩს შეხვდა

თბილისის მერი კახა კალაძე შვედეთის სამეფოს ელჩს საქართველოში ულრიკ ტიდესტრომს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე დედაქალაქის მერმა შვედეთის ელჩს თბილისში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, მერიის პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაა. მისივე თქმით, მიმდინარე წელს დაგეგმილია ავტობუსების არსებული პარკის ჩანაცვლება ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით. ასევე, ამავე მიზნით, მიმდინარეობს მეტროს რეაბილიტაცია და მოძრავი შემადგენლობების დამატება; დაგეგმილია მიწისზედა მეტროს განვითარების პროექტის განხორციელება. სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, მერმა შვედეთის ელჩს ტაქსებით მომსახურების მოწესრიგების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ზონალური პარკირების შემოღების გეგმა და ქალაქში ელექტრომობილების შემოყვანის წახალისების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები გააცნო.



ახალგაზრდობის რესურსს ქვეყნის სასარგებლოდ გამოვიყენებთ!

დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მერის მოადგილე სოფიო ხუნწარიასთან ერთად, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ თბილისის მერიის ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტები გააცნო.

თბილისის მერმა სტუდენტებს, როგორც მერიის მიერ დაგეგმილ ახალგაზრდულ პროექტებში მონაწილეობა, ასევე, მათივე ინიციატივების წარდგენა შესთავაზა.

„დედაქალაქის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა მიმართულებით გარკვეულ თანხებს ხარჯავს. თუმცა ჩვენ გვინდა უფრო ეფექტური ვიყოთ, ეს თანხები სწორად დაიხარჯოს. მზად ვართ იმისთვის, რომ ამ ყველაფერში თქვენი ჩართულობა უზრუნველვყოთ, წარმოვადგინოთ პროექტები, რომელიც საინტერესო იქნება ახალგაზრდებისთვის, ქალაქის განვითარებისთვის. ახალგაზრდების როლი და ჩართულობა, პირადად ჩემთვის, ქალაქისთვის, ჩვენი გუნდისთვის, მთავრობისთვის, არის მნიშვნელოვანი. ჩვენ ძალიან დიდ პოტენციალს ვხედავთ ახალგაზრდებში, დიდ რესურსს, რომელიც სწორად და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა იქნას გამოყენებული“, – განაცხადა კახა კალაძემ. შეხვედრას 24 უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ესწრებოდა.

გიორგი ტყემალაძემ და ზვიად გაბისონიამ მემორანდუმს მოაწერეს ხელი

თბილისის საკრებულოსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ მოაწერეს.

მემორანდუმის მიზანი განათლებისა და მეცნიერების პოპულარიზაცია, ხელოვნებისა და კულტურის სფეროების ინოვაციურ-შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობაა. ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარიკა დარჩია და წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატები ესწრებოდნენ.

„მონეზამ“, პრემიერის სიტყვა და ძაღლის ყეფა ჩემთვის ერთიაო...

ამბა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ, არა მხოლოდ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური ფონდის თუ სხვა მსგავსი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიძლება იმსჯელო, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის დედაქალაქის ქუჩების ვიზუალიდან გამომდინარეც შეიძლება უეჭველი დასკვნის გაკეთება. ნორმალური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ხარ, სადაც ასე თუ ისე სახელმწიფო ზრუნავს, როგორც მინიმუმ, საკუთარი მოქალაქეების საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის თუ სადმე, ე.წ. ბანანის რესპუბლიკაში მოხვდი, რომლის ხელისუფლებას ხალხის ყოფა-ცხოვრება სულ ფეხებზე ჰკიდია და მხოლოდ საკუთარი სტომაქის ამოყორვაზე ზრუნავს!

სურათი ხომ არ გეცნო მკითხველო? დიახ, საქართველოზე მოგახსენებთ, რომელსაც მართალია მდგრადი ეკონომიკა, ბიზნესი, როგორც ასეთი, ლამის 30 წელიწადია თითქმის არ გააჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ჯიუტად მიისწრაფვის დასავლეთისკენ და დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ უეჭველად შევა ევროკავშირსა და ნატოში.

ზემოთ, როდესაც თითქმის არ გააჩნია-მეთქი, ვწერდით, ის გვქონდა მხედველობაში, რომ ბანანის რესპუბლიკების დარად, არც საქართველოში არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესი (რაც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ფუნდამენტია) და აქედან გამომდინარე ე.წ. საშუალო კლასი და ყველაზე მთავარი – ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოშიც მხოლოდ მსხვილი ბიზნესი არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, ხარობს უზომოდ მდიდარ, გაზულუქებულ-გათავხედებულთა მცირერიცხოვანი კასტა, რომელიც ამქვეყნიური ყველა სიამით ტკბება, ხოლო, მეორე მხრივ, „პური არსობისას“ მოპოვებისთვის დამაშვრალი საზოგადოების უკეთესი უმრავლესობა.

ენერგომატარებლები, ფარმაცია და ყველაფერ ამის „გვირგვინი“ საბანკო ბიზნესი და ბანკთაგან შობილი ლომბარდები თუ ე.წ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და აგრეთვე ე.წ. პრობლემური სესხების ბიუროები (სწორედ ეს უკანასკნელნი, „მიკრო“ და „პრობლემური“ გახდა წინამდებარე წერილის შექმნის მთავარი მიზეზ-საბაბი, მაგრამ ამაზე ქვემოთ) **– აი, მთავარი „ბიზნესები“, რომლებიც, როგორც წესი, ყვავიან ხოლმე ე.წ. ბანანის რესპუბლიკებში და, სამწუხაროდ, საქართველოში.**

ბიზნესები რატომ წინწკლებში? დააკვირდით ჩამონათვალს – ბუნებრივი აირი, ბენზინი, მედიკამენტები, ეს ის პირველადი მოხმარების პროდუქტებია, რის შეძენაზედაც, მიუხედავად მათზე არსებული კატასტროფული ფასებისა, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა უარს ვერ ამბობს – რა ქნას კაცმა, სიცივეში ხომ არ ამყოფებს შვილებს ან უწამლობით ხომ არ დახოცავს მოხუც მშობლებს? აქედან გამომდინარე, როგორ ვუწოდოთ ამ პროდუქტების იმპორტს ბიზნესი და ამ ბიზნესების მფლობელთ ბიზნესმენები?

ხალხის გაჭირვებაზე დაფუძნებულ ბიზნესს ყაჩაღობა რომ ვუწოდოთ, უფრო უპრიანი მგონია, რადგანაც ზემოხსენებული კატასტროფული ფასები ამ, უკაცრავად და, ბიზნესმენთა კარტელურ-მაფიოზური შეთანხმების შედეგია!

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამას საკუთარი გამოცდილებით გავხდი საცნაურს...

> არის ასეთი იტალიური პრეპარატი „ძსარელტო“, რომელიც გულზე გაკეთებული ოპერაციის გამო, თძვენმა მონა-მორჩილმა მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე უნდა ვყლაპო.
>
> ჰოდა, ერთი თვის სამყოფი ეს მედიკამენტი თუ „დემოკრატიულ“ საქართველოში 240 ლარი ღირს, „ტოტალიტარულ“ რუსეთში იგივე „სიამოვნება“ რატომ ჯდება სულ რაღაც 100 ლარი, იქნება წამლის „ბარიგა“ ფარმაბიზნესმენთაგან ვინმემ ამიხსნას?!

ზემოთ ბანანის ქვეყნების დედაქალაქების ქუჩების ვიზუალური მხარე ვახსენეთ და სადმე შორს წასვლა არ დაგვჭირდება – თბილისის ნებისმიერი უბანი, ქუჩები, ზოგადად ხალხმრავალი ადგილები გადაჭედილია ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ლომბარდებით, ბენზინგასამართი სადგურებითა და აფთიაქებით, ცნობილი თუ უცნობი ბანკებით, რაც ჩვენ მიერ ზემოთ დახატული სავალალო სურათის ნათელი დასტურია!

და, აი, მივადექით წერილის მთავარ თემას...

დღეს ბანკების მძევალი რომ არის ნახევარ საქართველოზე მეტი, ამას არც ქოცების ხელისუფლება მალავს – საბანკო ბიზნესის ჯოჯოხეთურმა პროცენტებმა მრავალი ათეულათასი ოჯახი დატოვა უსახლკაროდ, მრავალი ადამიანი მიიყვანა თვითმკვლელობამდე.

მსხვილი ბანკები ხომ წოვენ და წოვენ გაჭირვებულ მოსახლეობას სისხლს. ესეც არ იკმარეს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ ერთ წურბელად საზოგადოებას ე.წ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მოევლინნენ. უკიდურესად შეჭირვებულ მოსახლეობას ყოველგვარი გირაოს გარეშე ათასობით ლარს სთავაზობდნენ სესხად.

ჰა, როგორია, როცა დღე ერთია და მობილურ ტელეფონზე 37 ესემეს-შეტყობინება რომ მოგივა მშიერ-მწყურვალ, გათოშილსა თუ ავადმყოფ ადამიანს – აიღეთ სახლიდან გაუსვლელად ხუთ წუთში სესხი!

ადვილია ასეთი ცდუნების გაძლება?

ჰოდა, გაჭირვებული ხალხიც იღებდა და იღებდა. მათ შორის თქვენმა მონა-მორჩილმაც ავიღე სესხად სხვადასხვა ორგანიზაციიდან რამდენიმე ათასი ლარი, რომლის ულმერთოდ დიდი პროცენტები ვერ გადავიხადე. ერთი სიტყვით, ესენი მიკროსაფინანსო კი არა, პირწავარდნილი მევახშე ორგანიზაციებია. თუმცა, კერძო მევახშეთაგან განსხვავებით, საერთოდ სინდის-ნამუსისგან გარეცხილები. აბა, რომელი კერძო მევახშე დაგიწესებს წლიურად 100 და მეტი პროცენტის გადახდას?

ცალკე საუბრის თემაა, ე.წ. პრობლემური სესხების ორგანიზაციები, რომლებიც მოკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან იაფად ყიდულობენ ურჩ გადამხდელთა სესხებს და იმათ ამოღებას ათასი უზნეო ხერხებით ცდილობენ. იმათ, მე ვიტყოდი ე.წ. ძველ-ბიჭური სამსახურის განყოფილებაც, გააჩნიათ, რომელიც პირველ ეტაპზე ერთვება საქმეში.

მაგალითად, ჩემს მობილურ ტელეფონზე დილაადრიან ზარი გაისმა და ვიღაც უცნობმა ნაძირალამ ფამილარულად მომმართა – ბიჭო, ვალი რომ გაქვს, როდის გადაიხდიო და როდესაც სადაც საჭიროა იქ გავაგზავნე, მეტად აღარ დაურეკავს!

თუმცა ისეთი კურდღლებიც ხომ იქნებიან, რომელთაც შიშით გულები დაუსკდებათ?

ქურდულ სამყაროსთან კავშირის გულისთვის ხალხს იჭერენ და რა არის ჩემთან დაკავშირებული შემთხვევა თუ არა ქურდულად საქმის გარჩევა?

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოკლედ ვიტყვი: ეს ე.წ. მიკროსაფინანსო და მათთან ალიანსში მოფი ე.წ. პრობლემური სესხების ფინანსური ბიუროები ისეთ დიდ პრობლემად ექცა ქვეყანას, რომ გასული წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გამოვიდა და განაცხადა, დაახლოებით 600 ათას ადამიანს აღებული სესხები გაუნულდებაო, რაც ჯამში სამი მილიარდი ლარი ყოფილა და ახალ წელს ვალებისგან თავისუფალი მოსახლეობა შეხვდებაო!

მაშინ აღნავლდა ოპოზიცია, არიქა, პრემიერის ეს განცხადება არჩევნების წინ ამომრჩევლის მოსყიდვააო და მერე რა? არა მგონია, რომ 600 ათასი კაცისგან ვინმეს სწყენოდა ეს ამბავი და მათ შორის მეც გავიხარე, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ და სადა ბანაობ, ისე წავიდა ჩემი საქმე და დარწმუნებული ვარ, არამარტო ჩემი...

ნაახალწლევს ჩემი მობილური აწკრიალდა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მონეზამ“, ვალს როდის გადაიხდიო, მომახალა.

არ დავიზარე და ცინცაძის ქუჩა 12 ნომერში არსებულ ოფისში მივაკითხე სისხლისმწოველ მევახშეებს...

რა ვალებს მთხოვთ, სადა ხართ, რომელ ქვეყანაში, პრემიერის განცხადება არ მოგისმენიათ-მეთქი? პასუხად ვინმე ხათუნამ, პრემიერმა ბევრი რამე თქვაო. ანუ როგორც წერილის სათაურშია, ჩვენთვის „მონეზასთვის“, პრემიერის სიტყვას და ძაღლის ყეფას ერთი ფასი აქვსო?!

მოკლედ ვარ ახლა გაურკვეველ ვითარებაში, რომელიც ძალიან მაგონებს ერთ ეპიზოდს შესანიშნავი ქართული ფილმიდან, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ – ერთი მხრივ, მე ვარ ფილმის გმირი, რომ ვკითხულობ: „აკი გადავარდაო ის საოხრე და სატიალო, აკი გადავარდაო?!“ და მეორე მხრივ, სოფელ დიღმის მამასახლისივით „მონეზა“ მიპასუხებს: „რა გადავარდაო, რა გადმოვარდაო, შენთან სალაყბოდ არა მცალიანო“. ანუ კინოს ენას რომ თავი დავანებოთ, გამოდის – პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის დედაც ვატირე, ხოში მაქვს და შენი სესხი „ქართუ“ ბანკს გასანულებლად არ გადავუგზავნეო!

ბატონო პრემიერო! რას ჰგავს ეს? ნათქვამია, მილიონს, რომ ერთი კაპიკი აკლდეს, მილიონი აღარ არისო, და თუ ასეა, მაშინ არც თქვენი გაცხადებული 600 ათასია ექვსასი, რადგანაც, როგორც მინიმუმ, ერთით ნაკლებია ჩემი სახით!

ახლა, ალბათ, მეტყვით, კარგი რა, დალოცვილო, ათასობით ადამიანს გაუნულეს ვალები და ერთი კაცი, რა მოხდა მერეო?

არც არაფერი, ბატონო პრემიერო! თუნდაც იმიტომ, რომ არც თქვენს ამნისტიამდე ვიხდიდი „მონეზას“ ვალებს და მით უმეტეს არც ახლა ვაპირებ – საცა ვიწროა, იქ გაწყდესო, ნათქვამია!..

დავით მხეიძე

P. S.

მართალია, „მონეზას“ წურბელათაგან ვერავის ვათქმევინე, თუ ვინ არის მათი უსტაბაში, ანუ დირექტორი, მაგრამ მაინც დავადგინე, რომ ვინმე დავით აღსაბაძე ყოფილა და ახლა მას მივმართავ: ბატონო დავით! თქვენს ხელქვეითებს ვერაფრით შევასმინე, რომ ვალს განა არ ვიხდი, არამედ ვერ ვიხდი. არასა და ვერას შორის სხვაობას, ალბათ, მიხვდებით. ვერ ვიხდი, რადგანაც გულის შუნტირების ოპერაციის შემდეგ თვეში 500 ლარის წამლები უნდა ვსვა მთელი დარჩენილი სიცოცხლე!

ღმერთმა დამიფაროს თავს ვაცოდებდე ვინმეს და მით უმეტეს თქვენ. რადგანაც პრემიერის მიერ გაცხადებულ ყველა წინაპირობას ვაკმაყოფილებ, მე უბრალოდ ის მაინტერესებს, თუ რა კრიტერიუმით მოხდა ჩემი დისკრიმინაცია?

დ. მ.

დღეიდან ბიზნესს დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება ავტომატურ რეჟიმში შეუძლია

დღეიდან გადასახადის გადამხდელებს საშუალება ეძლევათ, დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე წარმოშობილი ზედმეტობა ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნონ. დღგ-ის ავტომატური დაბრუნება ითვალისწინებს დღგ-ის გადასახადისგან წარმოქმნილი ზედმეტობის ახალი და გამარტივებული სისტემით დაბრუნებას დეკლარაციის ჩაბარებისთანავე. აღნიშნული სისტემის ამოქმედების შემდეგ, 2019 წლის იანვრისა და შემდგომი საანგარიშო პერიოდების დეკლარაციების შეფასება, მოხდება ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით.

დაბალი რისკის დეკლარაციები, რომელთა რაოდენობა წარმოდგენილი დეკლარაციების არანაკლებ 90% იქნება, ყოველთვიურად აისახება დღგ-ის დაბრუნების ბარათზე. მაღალი რისკის დეკლარაციები, რომელთა რაოდენობა არ აღემატება თვის მანძილზე წარმოდგენილი დეკლარაციების 10%-ს, გადავა ხელით შესწავლის რეჟიმში. შესწავლის შემდეგ, შესაძლებელია, მოხდეს დეკლარაციით დასარიცხი თანხების კორექტირება ან დეკლარირებული მონაცემების შეუცვლელად ასახვა „დღგ-ის დაბრუნების“ ბარათზე. მოთხოვნილი თანხის დაბრუნება მოხდება მეწარმის მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პორტალზე (გადამხდელის პირად გვერდზე) შესაბამის ღილაკზე დაჭერით. აღნიშნული ინიციატივა თავისი მასშტაბიდან და შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს უპრეცედენტო რეფორმას საგადასახადო სისტემაში.

მთელი დატვირთვა მევახშეებზე გადავიდა!..

მას შემდეგ, რაც ახალი რეგულაციების გადამკიდე, ერთ მილიონამდე ადამიანს ბანკებისა და მიკროსაფინანსოებისგან სესხის აღების შესაძლებლობა შეეზღუდა, განსაკუთრებულად გაიზარდა მევახშეებზე მოთხოვნილება. მართალია, ეროვნულმა ბანკმა ცვლილებათა ამ პაკეტით დაგვაიმედა, რომ ამით ჭარბვალიანობის პრობლემა გადაიჭრებოდა, მაგრამ, სინამდვილეში, ამ ნაბიჯმა მევახშეები წაახალისა.უბრალო ადამიანების გარდა კარგა ხანია, სირთულეებზე ლაპარაკობენ ტექნიკის მაღაზიები. ისინი აცხადებენ, რომ მათთან გაყიდვებმა იკლო, რადგან შემოსავლების დადასტურების გარეშე ბანკები განვადების მიზნით სესხს აღარ იძლევიან. შესაბამისად, ახალმა რეგულაციამ ქვეყანაში პროდუქციასა და მომსახურებაზე მთლიანი მოთხოვნის შემცირება გამოიწვია.

თუ არსებობს გამოსავალი ამ სიტუაციიდან, რადგან აშკარაა, მევახშეებზე მოთხოვნილება იზრდება.

ის, რომ მთელი დატვირთვა მევახშეებზე გადავიდოდა, ეს იმთავითვე ნათელი იყო **ეკონომისტ პაატა არუშიძისთვის**. For.Ge-სთან საუბრისას ის აცხადებს, რომ დღეისთვის პრობლემურია ტექნიკის მაღაზიების და იმ ადამიანების საკითხი, რომლებსაც სურთ ტექნიკისა და ხანგრძლივი გამოყენების მქონე ნებისმიერი საქონლის შეძენა. ფაქტია, საბანკო პროცედურები დროში იწელება, თორემ ადამიანს დადასტურებული შემოსავალი თუ აქვს და ყოველთვიურად შეუძლია გადაიხადოს გარკვეული რაოდენობის თანხა, როგორც ამას ბანკი მოითხოვს, მას პრობლემა არ ექნება.

პაატა არუშიძის განმარტებით, წინა წლებში მომხმარებელთა უმეტესობა შეჩვეული იყო, რომ მაღაზიიდან გაუსვლელად იქვე მტკიცდებოდა სესხი, იქვე აფორმებდნენ ხელშეკრულებას და ერთი საათის განმავლობაში კეთდებოდა ეს ყველაფერი. დღეს კი ბანკს სჭირდება გარკვეული დრო, რათა გადაამოწმოს ვალიდობა, რამდენად გადახდისუნარიანია კლიენტი. ეს აღელვებას იწვევს, მით უმეტეს, ქართველები ცხელსისხლიანები ვართ და მოცდა არ გვიყვარს.

„ტექნო ბუმის“ დამფუძნებელი ანზორ ძოძოლაძე ადასტურებს, რომ ახალმა რეგულაციებმა ტექნიკის მაღაზიებს ძალზე გაურთულა სიტუაცია. For.Ge-სთან საუბრისას ბიზნესმენი გამოსავალსაც გვთავაზობს და ამბობს, რომ გამოსავლის სამი გზა არსებობს. ერთია, სახელმწიფომ და ეროვნულმა ბანკმა გადახედონ ამ რეგულაციებს. მეორეა, თვითონ კომპანიებმა მოახერხონ განსხვავებული სერვისების და ანალოგიური პროდუქტების შექმნა და მესამეა, ბანკებმა მოახერხონ ამ რეგულაციების პირობებში ნელ-ნელა ადაპტირება, გააუმჯობესონ საკრედიტო პორტფელი და მაინც შეძლონ სესხების გაცემა.

„დაახლოებით ნახევარ წელიწადში იმის მოლოდინი მაქვს, რომ, როგორც საცალო კომპანიები შეძლებენ გარკვეული პროდუქტების შექმნას ამ მიმართულებით, ისე ბანკებიც ადაპტაციას მოახდენენ. იმედი მაქვს, ეროვნული ბანკიც გადახედავს ამ რეგულაციებს. უფრო კონკრეტულად, კომპანიებს შეუძლიათ შექმნან განვადების პროდუქტი თავის მწარმოებლებთან ერთად და ბანკი რადგან არ იძლევა განვადებისთვის სესხს, შეიძლება მწარმოებელმა დაუჭიროს მხარი საცალო კომპანიას და ამის შედეგად მოხერხდეს განვადების გაცემა თვითონ კომპანიის მხრიდან. სხვათა შორის, თავის დროზე, სანამ ეს რეგულაციები შემოვიდოდა, იმ ადამიანებზეც, რომელთაც არ უფიქსირდებოდათ ხელფასი, განვადება ვრცელდებოდა და ტექნიკა ჩვეულებრივად გაიცემოდა. სასურველია, ეს აღდგეს, რადგან ამის გამო გაგვინახევრდა გაყიდვები. ყველა კომპანია თავად განსაზღვრავს, როგორ მოახდინოს მომხმარებლის შეფასება და გასცეს თუ არა მასზე განვადებით ნივთი“, — აღნიშნა ბიზნესმენმა.

მანანა ნოზაძე

ისევ „ბეტეერა“ ქალების იმედით!

თუ აჭარაშიც ასეთივე ფანკლუბი ეყავს სააკაშვილს, მაშინ უნდა ვუსურვოთ - კიდევ უფრო გაუმრავლდეს

***გაახალისა** თუ არა აჭარლები სააკაშვილისეულმა ე.წ. ალტერნატიული მთავრობის იდეამ და რატომ არ აღიქვამენ ექსპრეზიდენტის კონცეფციებს აჭარაში სერიოზულად?*

ერთი თვე გავიდა, რაც ბათუმში ე.წ. „ალტერნატიული მთავრობა“ შექმნა სააკაშვილმა და აღნიშნული „მთავრობის“ პერსპექტივის შესახებ ჯერ კიდევ 30 იანვარს ალაპარაკდა.

„აი, ეს არის ნამდვილი ახალი ხელისუფლება საქართველოში — ჭკვიანები, ლამაზები, მომართულები, პატრიოტები. ძალიან კრეატიული აზრია ეს ალტერნარტიული მთავრობა და ალტერნატიული მერი იმიტომ, რომ რეალურად ჩვენს საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება“, — მიმართა ბათუმის პარტიის ოფისში შეკრებილებს მიხეილ სააკაშვილმა ვიდეოჩართვის დროს და ტრადიციულ მაშველად „რუსთავი-2“ იხმო — „გააკეთეთ თქვენი პროექტები, წარმოადგინეთ კონკრეტული პროექტები და მე ჩაგერთვებით. ამას „რუსთავი-2“ გააშუქებს და „იუთუბზე“ დავდებთ“.

როგორც „ნაციონალები“ ირწმუნებიან, ე.წ. ალტერნატიული მთავრობა თანამდებობისთვის არ შექმნილა, უბრალოდ, ალტერნატიული პროექტების იდეა პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ახალგაზრდულ ფრთას ეკუთვნოდა.

სკაიპით დანიშნული აჭარის ე.წ. ალტერნატიული მთავრობის შექმნის შესახებ ინფორმაციას უფლებადამცველი დავით ლილუაშვილი ეხმაურება და ამბობს, „მაგ თქვენი გადარეულისთვის ერთი კარგი ფსიქიატრიული ააშენეთ და ყველაზე საუკეთესო პალატაში დააწვინეთ! თქვენც შეგიძლიათ განთავსდეთ გვერდითა პალატებში“.

For.ge დაინტერესდა, რას ფიქრობენ აჭარლები სააკაშვილის ინოვაციურ იდეებზე, მით უფრო იმ ფონზე, როცა აჭარაში „ნაციონალებს“ დიდი დასაყრდენი არ აქვთ, რაც „ნაციონალების“ წინააღმდეგ ერას მოედანზე მოწყობილმა საპროტესტო მუხტმა გამოავლინა.

აჭარის მკვიდრი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **პაატა არუშიძე** აცხადებს, რომ „ალტერნატიული მთავრობის“ შექმნის იდეა პირდაპირ სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, რომლის სერიოზულად აღქმა ლიეჟში გამართული შეხვედრის შემდეგ შეუძლებელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ალტერნატიული მთავრობის“ შექმნით შარლატანი სააკაშვილი თამაშობს, თუმცა ამ ყველაფერზე მაინც უნდა დაფიქრდეს საქართველოს ხელისუფლება.

„ალტერნატიულ მთავრობაში“ ყველაზე ცუდი ის არის, რომ სააკაშვილმა უკვე მეორედ მოუწოდა ბიზნესმენებს, არ გადაიხადოთ გადასახადები. ასეთივე განცხადება გააკეთა მან 2003 წელსაც, როდესაც თვითონ მოდიოდა ხელისუფლებაში. მაშინაც ბიზნესმენებს მოუწოდა, არ გადაიხადოთ გადასახადი, თუმცა ხელისუფლებაში რომ მოვიდა, საურავები და ჯარიმები დააკისრა გადაუხდელი გადასახადების გამო. ვთქვათ, ახლაც ვიღაცამ დაუჯერა და არ გადაიხადა გადასახადი, ღმერთმა ყველა დაიფაროს და სააკაშვილი რომ მობრუნდეს უკან, როგორ გგონიათ, იმ გადასახადს არ მოითხოვს, რომლის გადაუხდელობასაც ახლა ითხოვს ბიზნესმენებისგან? მაშინ საგადასახადო კოდექსში უნდა შეიტანოს ცვლილება. 2004-ში აჭარის საგადასახადო სამსახურის უფროსი გახლდით და ვიცი, რა სიტუაციაც იყო აჭარაში. ამიტომ სააკაშვილის მოწოდება ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, რაც ჩვენი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპს, ანუ გადასახადის გადახდას ეხება“, — აღნიშნა პაატა არუშიძემ და დასძინა, რომ ე.წ. ალტერნატიული მთავრობის იდეა აჭარაში სერიოზულად არავის მიუღია, უფრო მეტიც, ადგილობრივი მთავრობა ისევე მუშაობს, როგორც ადრე მუშაობდა.

კერძოდ, აჭარაში ერთი დიდი პრობლემა გადაიჭრა, ე.წ. ოცნების ქალაქი დაარსდა, რომელიც თვითჩასახლებულებით იყო სავსე. ამ ადამიანებს დაუკანონდათ მიწები და ახლა მიმდებარე ტერიტორიებზე იწყება მრავალსართულიან კორპუსთა მშენებლობა, სადაც მოსახლეობა იცხოვრებს. ეს პრობლემა 10-15 წლის განმავლობაში გადაუჭრელი იყო, ახლა კი ამისთვის 10 მილიონი ჩაიდება აჭარის ბიუჯეტიდან, დანარჩენის სუბსიდირებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მოახდენს.

ასე რომ, მიშას „ალტერნატიულ მთავრობას“ ერთადერთი მიზანი აქვს, არიოს სიტუაცია საქართველოში და ვიღაცას ნერვები მოუშალოს.

პოლიტიკური პარტია „ემსახურე საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, აჭარელი **მედეა ვასაძე** აცხადებს, რომ ალტერნატიული მთავრობა სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რადგან მოქმედ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ქვეყნის მართვა უჭირს.

„პირადად ჩვენი, ანუ „ემსახურე საქართველოს“ ჩართულობა ამ საკითხში არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ, თუკი მესამე პრეზიდენტს ამის სურვილი ექნება და, თუკი რაიმეში ვიქნებით საჭირო, მას მხარს დავუჭერთ, ხელს შევუწყობთ“, — აღნიშნა მედეა ვასაძემ და შეკითხვის საპასუხოდ, პირადად მას მოენატრა თუ არა სააკაშვილის რეჟიმი, აღნიშნა, რომ სააკაშვილის რეჟიმის ოპონენტი იყო 9 წლის განმავლობაში. როგორც კი ასლან აბაშიძე აჭარიდან წავიდა და დასრულდა სეპარატისტული გამოვლინებები, მან ჩათვალა, რომ „ნაცმოძრაობის“ პოზიტიური გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე დასრულდა და მაშინვე დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“. თუმცა დღეს, როდესაც გაემიჯნა „ქართულ ოცნებას“, საკუთარი ადგილი „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ დაინახა.

„ვადასტურებ, რომ „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ დომინანტი „ნაციონალური მოძრაობაა“. ნ-იანი ციფრი ძალიან მიყვარდა სკოლაში, მაგრამ მერე მქონდა საშინელი ანტიპათიური დამოკიდებულება. ახლა ჩემი შემობრუნება ნ-იანისკენ და ის, რომ 800 ათასმა ადამიანმა დაუჭრა მხარი „გაერთიანებულ ოპოზიციას“, ნიშნავს, რომ დღევანდელი ხელისუფლება თავისი საქმიანობით თვითონვე უწყობს ხელს „ნაციონალებისკენ“ საზოგადოების შემობრუნებას. ეს არ არის ჩემი დაბრუნება „ნაციონალურ მოძრაობაში“, ეს არის „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ ჩემი ადგილის პოვნა საიმისოდ, რომ არ დავიკარგო პოლიტიკისთვის“.

მედეა ვასაძის აზრით, მომავალმა ხელისუფლებამ უნდა გადმოიღოს ის კარგი, რაც „ნაცმოძრაობის“ დროს კეთდებოდა, ქვეყანა უფრო სწრაფად შენდებოდა, სახელმწიფო ინსტიტუტები გაძლიერდა, მაგრამ „ნაციონალების“ მეორე ნაწილი, როცა ადამიანის უფლებები სრულიად ფეხქვეშ იყო გათელილი, არ უნდა განმეორდეს.

მაინცდამაინც აჭარას რატომ მიაპყრო ყურადღება სააკაშვილმა, ამის შესახებ მედეა ვასაძემ აღნიშნა, რომ ეს მაინც ავტონომიური რეგიონია და უფრო მეტი ნიადაგი არსებობს ალტერნატიული მთავრობის შესაქმნელად. თორემ საეჭვოა, გურიაში, იმერეთში ან კახეთში ასეთი მთავრობის ჩამოყალიბების ნიადაგი არსებობდეს. გარდა ამისა, არსებობს ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც აჭარაში ალტერნატიული მთავრობა შეიქმნა, კერძოდ, მედეა ვასაძის აზრით, სააკაშვილს ძალიან უყვარს აჭარა, მან ხელი დაატყო ამ რეგიონს და, თუ რაიმე მხარდაჭერას ელის, ელის ისევ აჭარისგან. ეს სურვილი კი მიშას არაერთხელ გაუმჟღავნებია.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ მიშას აჭარა კი არა, საკუთარი შვილები და დედა არ უყვარს. მას საკუთარი ხუშტურების და მანიაკალური მიდრეკილებების აღსრულების გარდა არავინ უყვარს. სხვათა შორის, ვინც არიან მისი მომხრეები, ისინიც არაადეკვატურნი და სულიერად ავადმყოფები არიან. მაგალითად, ლიეჟში შეხვედრიდან გამოსულმა ქალებმა ვახტანგ მაისაიას მოაგონა ფილმი „ივან ვასილევიჩი იცვლის პროფესიას“. ამ ფილმში ძალიან კარგი ფრაზაა, „თქვენ რომ ჩემი ცოლი იყოთ, თავს ჩამოვიხრჩობდიო“.

„თუ აჭარაშიც ასეთივე ფანკლუბი ჰყავს სააკაშვილს, მაშინ უნდა მივულოცოთ და ვუსურვოთ, კიდევ უფრო გაუმრავლდნენ ასეთი ფანკლუბის წევრები. მარტო „ბეტეერა ქალი“ რომ ჰყავს, ფანკლუბის პრეზიდენტი — გოცირიძეა თუ ვიღაც, ისიც კმარა, ამაზე სიმწრით უნდა გაგეცინოს. ამით ვხალისობ კიდეც, რითაც რეაბილიტაციის კარგ საშუალებას მივაგენი“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები,

ანუ ფრიად ნაწვალები წიგნი, რომელიც დროის დიდ ქვაბშიც არ ეტევა, არამცთუ ლალედ იყოს პატარაში

ჩემი თაობის დრომოჭმულ ადამიანებს, ომის თაობას ვგულისხმობ, რომლის თვალდათვალ შეთხელებული წარმომადგენლები ამჟამად თავად ვხდებით თუ უკვე გავხდით სხვათა წინაპრები, არ შეიძლება, რომ არ გვახსოვდეს თავისი საყვარელი და ნიადაგ საზრუნავი სამშობლოს მე-19 საუკუნიდან განუწყვეტელი საქვეყნო შრომის დინებით მე-20 საუკუნეში გადმოსული მუდამ ნაბადწამოსხმული, თეთრწვერდაფენილი, თავფაჩაჩიანი — კახურქუდიანი, ბიბლიური წარმოსადეგობის მოხუცი, არგანს დაყრდნობილი რომ გვხვდებოდა ძველი თბილისის ქუჩებში. მე პირველად, ჩემი ჭაბუკური ფანტაზიით, მეგონა, სულხან-საბა ორბელიანი ხომ არ მელანდება-მეთქი. ამ გარეგნულად მოციქულის მსგავს ადამიანს არა მარტო თვალით ენახა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი თუ იაკობ გოგებაშვილი ან ვაჟა-ფშაველა, არამედ თავისი უმცროსობისდა მიუხედავად, მაინც გვერდით ედგა და მრავალ უჩინო მამულიშვილთან ერთად დიდწარსულიან, მაგრამ აწმყოგამწარებულ დროში საბედისწეროდ დაქანებულ საქართველოს დიდი მომავლისკენ აწვებოდა, როგორც ნაწვიმარზე აღმართში სვლაგაჭირვებულ ურემს...

შეიძლება, თამამად იმის ფიქრი, რომ სულგანათლებულ **იოსებ იმედაშვილს** სწორედ მაშინ გაუჩნდა ის აზრი, რომ დავიწყებისგან გამოეტაცებინა სამშობლოსთვის მორუდუნე ზემორე ხსენებულნი, მეტ-ნაკლებად უჩინო მამულიშვილნი და, სიზიფესაგან განსხვავებით, თავისი თავისთვის თავადვე მისჯილი უზარმაზარი ლოდი უკან აღარ დაჰგორებია. ლაპარაკია **ეროვნული ბიბლიოთეკის** მიერ გამოცემულ **იოსებ იმედაშვილის ჭეშმარიტად საუკუნის წიგნი — „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონზე“,** რომელსაც იმდენად მდიდარი, ყოვლისმომცველი წინასიტყვაობა უძღვის, რომ ჩემი შეფასება არც მაინცდამაინც რასმე შემატებს, მაგრამ ერთი ადამიანის ამ მართლაც უზარმაზარი ნაშრომის ცხრაასგვერდიან პირველ ტომს **(ა-დ)** ხელში რომ აიღებ (ყველა თვალსაზრისით, სიმძიმის გამო, ალბათ, დიდხანს ვერც გეჭირება), მადლიერების გამოუთქმელობა შეუძლებელია.

წინასიტყვაობის ავტორები არიან თვითონ იოსებ იმედაშვილის ვაჟიშვილი, დიდად თვალსაჩინო მეცნიერი, ფილოლოგი გაიოზ იმედაშვილი და შვილიშვილი — ღონიერკალმიანი ლიტერატორი კობა იმედაშვილი. მე და კობა თანაკურსელები ვართ, ერთად დავამთავრეთ ჩვენი დედაუნივერსიტეტი, დღეს უკვე შორეულ 1958 წელს, ხოლო პროფესორი გაიოზ იმედაშვილი ჩვენი ლექტორი იყო.

ისე, აქვე უნდა ითქვას, რომ კობა იმედაშვილი ნამდვილად დასატრაბახებელი შვილიშვილია. თავის ფრიად გამორჩეულ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, მთელი ცხოვრება იგი თავს დაჰკანკალებს თავისი დიდი პაპის ნამოღვაწარს, სიყვარულის სანთლის შუქში ჰყავს მოქცეული საზოგადოებისთვის თვალნათლივ დასანახად, მით უმეტეს, რომ თვითონ იოსებს ბევრისგან განსხვავებით, თავის ღვაწლზე ლაპარაკი არ უყვარდა და საკუთარი თავი ამ ლექსიკონშიც არა ჰყავს შეყვანილი.



როგორც ხსენებულ წინასიტყვაობაშია ნათქვამი, იოსებ იმედაშვილს „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონზე“ 1952 წლამდე, გარდაცვალებამდე უმუშავია. წიგნი ავტორს ჩაფიქრებული ჰქონია ქართველთა მიერ საკუთარი ისტორიის გასაცნობიერებლად. აგრეთვე იმ დიდი ბრძოლის ნაწილად, რომელსაც მე-19 საუკუნის ერის მოწინავე ადამიანები (ხშირ შემთხვევაში უჩინო მამულიშვილნი) აწარმოებდნენ. თუ იოსებ იმედაშვილის უკვე გამოცემული „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ უპირველესი მიზანი საგანმანათლებლო იყო, — ნათქვამია წინასიტყვაობაში, — „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“ აშკარად ეროვნულ ბრძოლაში შესვლას ნიშნავდა.

ლექსიკონის წინასიტყვაობის თანახმად, **ეს მრავალტომიანი, ხუთი ათასამდე გვერდიანი ნაშრომი** ფარნაოზ მეფიდან მოკიდებული ჩვენს დრომდე შეიცავს ჩვენი კულტურის მეცნიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების თუ მეურნეობის ყველა დარგში მოღვაწეთა ბიოგრაფი-დახასიათებებს სრული ბიბლიოგრაფიით.

თვითონ იოსებ იმედაშვილი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ არსს ასე განმარტავს: **„ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაიბადა „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“. იგი შეიცავს სამ ათასამდე ბიოგრაფიას, დაწერილს გარკვეული შემუშავებული გეგმით, აგებულებითა და შინაარსით. ბიოგრაფია სხვადასხვა მოცულობისაა მოღვაწის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მასშტაბის მიხედვით... წიგნის შედგენილობა ისეთია, რომ ის მუდმივად შეიძლება რომ ივსებოდეს და სწორდებოდეს ახალი მასალების აღმოჩენის მიხედვით. სწორედ ამიტომ ამ 50 წლის განმავლობაში მისი რამდენჯერმე თავიდან ბოლომდე გადაკეთება-შევსება-შესწორება მომიხდა და ასეთი მომავალშიც არა მოსალოდნელია, არამედ აუცილებელიც“.**

სავსებით მართალნი არიან წინასიტყვაობის ავტორნი, როცა წერენ, რომ იმ დროისთვის, როდესაც იოსებ იმედაშვილი ამ დიდ საქმეს შეუდგა, ახლად ფეხადგმული იყო ქართული ისტორიოგრაფია, არ არსებობდა „საქართველოს ენციკლოპედია“. მართალია, რუსეთის იმპერიის მიერ გაძლიერებულ ანტიქართულ პოლიტიკას უპირისპირდებოდა ჩვენი ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა, თეატრი, მწერლობა, მაგრამ „მოღვაწეთა ლექსიკონიც“ უთუოდ საჭირო იყო, რათა ქართველებს გვეამაყა ჩვენი წარსულით და გაგვეაზრებინა, ვისებურად უნდა გვეღვაწა, ვისთვის მიგვებაძა და რა უნდა გვეკეთებინა ეროვნული თავისთავადობის დასაცავად.

მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ეს უიშვიათესი, პურივითა და წყალივით აუცილებელი წიგნი, მიუხედავად მრავალი ცდისა თუ არაერთხელ საგამომცემლო გამონათებისა, დღემდე ამაოდ ელოდა გამოცემას.

„საკუთარი სტამბის, ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობის მქონე, მრავალჭირნახული მწერალი და ჟურნალის — „თეატრი და ცხოვრება“ — რედაქტორი, სხვათა წიგნების გამომცემელი იოსებ იმედაშვილი, — ნათქვამია წინასიტყვაობაში, — **თვითონ დარჩა გამოუცემელი და ვერა და ვერ ეღირსა, თვალით ენახა მთელი ცხოვრების განმავლობაში სათუთად ნაზარდი, მოვლილი და ნანატრი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“, რომელსაც მან უმსხვერპლა მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია საკუთარი მწერლური კარიერა. თანაც საკუთარი გამოცემანი განუხორციელებელ ოცნებად ექცა. ამიტომ შეიძლება თქმა, რომ საქართველოში, ალბათ, არ არის მეორე ასე საჭირო ნაშრომი, მაგრამ ასევე უსამართლოდ გამოუცემელი, როგორიც იოსებ იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონია“...**

აქ სრულიად უადგილოა თავში იმ აზრის გავლება, რომ მჭედელს დანა არა აქვს... ჯერ ერთი, ერთი ადამიანის მიერ ამხელა შრომის გაწევაა წარმოუდგენელი, ხოლო თვითონ საზოგადოების მოუწადინებლად და დაუხმარებლად ხომ ორჯერ წარმოუდგენელია.

და აი, როგორც იქნა, ეს დიდი საშვილიშვილო ქართული საქმე დაიძრა, რაც მთავარია, პირველი ვეება ტომის გამოცემას ჯვარი დაეწერა. არ შეიძლება, რომ ჩვენი სამადლობელი ხმაც არ შევუერთოთ წინასიტყვაობის ავტორებს, რომლებიც სამართლიანად წერენ, ასრულდა იოსებ იმედაშვილის ანდერძიო, და სამართლიანადაც აღნიშნავენ ამ გამოცემის თავის დამდგმელთა და ამით იოსებ იმედაშვილის ანდერძის ამსრულებელთა ჭეშმარიტად მამულიშვილურ ღვაწლს. მართლაც ხაზგასმით სათქმელია და აკი ამბობენ კიდეც სულმნათი იოსებ იმედაშვილის სახელოვანი შვილი და შვილიშვილი, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის მოწადინება და მეცადინეობა რომ არა, „ლექსიკონი“, როგორც აქამდე იყო, ახლაც გამოუცემელი დარჩებოდაო, და რომ არა ისინი, ახლა ეს წიგნი თქვენს მაგიდაზე არ იდებოდაო. იოსებ იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ გამოცემა კი ნამდვილად საშვილიშვილო საქმეა ჩვენ, შთამომავლობამ უნდა ვიცოდეთ, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, რათა იმათ ნაკვალევზე ამაყად ვიაროთ და ბეჯითად გავაგრძელოთ იმითი დიდი საქმეები.

როგორც წინასიტყვაობაშია თქმუ-

მეც ჩემი ნატვრა შევკადრე...



ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის დროს, ერთ ჩვეულებრივ დღეს სიცხემ ამიწია. როგორც აღმოჩნდა, გავცივდი და ექიმმა რამდენიმე დღით სახლში დაწოლა მირჩია. მე მაინც ბუკინისტურ მაღაზიას მივაშურე მელიქიშვილის ქუჩაზე. იქ თითქმის ყოველდღე მივდიოდი ცნობილ ბუკინისტთან, ტიმოთე მახაურთან ყოველდღიური შეხვედრა ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო. იმ დღეს მან **იოსებ იმედაშვილის** მოგონებების წიგნი დამახვედრა. სახლში რომ მივედი, წამოვწექი და დავიწყე კითხვა. იოსებ იმედაშვილზე არაფერი ვიცოდი. არ დამავიწყდება ის სიამოვნება, რაც ამ წიგნმა მომცა. როგორც ვიყავი წამოწოლილი, ისე გაუნძრევლად წავიკითხე და გამთენიას დავასრულე. მერე ვიგრძენი, რომ მხარი დაბუჟებული მქონდა. ასე სულ რამდენიმე მოგონებათა წიგნზე დამემართა მანამდე (ნიკო ბურის, იაკობ მანსვეტაშვილის, აკაკი გაწერელიას (გამოუქვეყნებელ) მოგონებებზე).

იოსებ იმედაშვილის მოგონებათა ამ წიგნით შევიტყვე „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ შექმნის ისტორია. იოსებ იმედაშვილი თავის არგამოცემულ მოღვაწეთა ლექსიკონზე სინანულით წერდა. ნატვრად გავიხადე ამ ლექსიკონის ნახვა. ისიც გავიგე, რომ ეს ხელნაწერი ტომები იოსების ვაჟთან, გაიოზ იმედაშვილთან იყო დაცული. რამდენიმე თვის შემდეგ მაღაზია „საუნჯის“ საწყობში რომ შევედი (ჩემთვის გადანახულ საინტერესო წიგნებს ვყიდულობდი), მაღაზიის დირექტორი აკაკი ასათიანს გაიოზ იმედაშვილის გარდაცვალებაზე სინანულით ესაუბრებოდა. შემდეგ გავიდა წლები და ერთ-ერთ ექსკურსიაზე გავიცანი მურთაზ სიჭინავა, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ამ ლექსიკონის შესახებ ვუთხარი. ვიცი, ბატონი კობა იმედაშვილის მფლობელობაშია და დაველაპარაკებიო. მომცა ტელეფონის ნომერი და ასე შედგა ჩვენი პირველი საუბარი. მე მაშინ მიხეილ საბანინის ბიოგრაფიაზე ვმუშაობდი და ვთხოვე ბატონ კობას, ჩაეხედა იყო თუ არა ამ ლექსიკონში საბინინზე სტატია. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც მიხეილ საბინინის შესახებ სწორედ გაიოზ იმედაშვილის სტატია იყო დაბეჭდილი. მეც წყარო მინდოდა ზუსტად მენახა. შემდგომში ბატონი კობა გვეწვია ბიბლიოთეკაში და, ბოლოს, დავმეგობრდით.

მეც ჩემი ნატვრა შევკადრე. მითხრა, თუ ამას ეროვნული ბიბლიოთეკა იზამს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებაო. ისიც დასძინა, ლექსიკონი კი მზად არის, მაგრამ მისი მასალები უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე საბჭოთა დროს გამოსაცემად მომზადებული ხელნაწერი ტომებიო. დავიწყეთ მუშაობა, ბატონი კობა არამარტო გამოცემის ნიუანსებს აკონტროლებდა, არამედ ტექსტის გამართვასაც, რადგან სურდა, იოსებ იმედაშვილის სტილი უცვლელი ყოფილიყო. ზოგჯერ კორექტურად ჩათვლილ, ჩვენი აზრით, შეცდომასაც უცვლელად გვატოვებინებდა. ასე მაგალითად, ეწერა: ხაშმზე დაიბადაო, ჩვენ ჩავასწორეთ „ხაშმში“ დაიბადაო, და არაო, ეს ასე ითქმის და ასე დატოვეთო. მოღვაწეთა ლექსიკონი შეიცავდა საქართველოს ისტორიაში ცნობილ ისეთ მოღვაწეებს, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან მოყოლებული გვყავდნენ: ფარნავაზი, გორგასალი, საქართველოს როგორც ერთიანი, ასევე მხარეთა მეფენი, თუმცა ჩავთვალეთ, რომ ეს ნაწილი არასრულად იყო წარმოდგენილი და თან ისტორიულ წყაროდ მნიშვნელოვანი იყო ის ინფორმაცია, რომელიც იოსებ იმედაშვილმა პირდაპირ მოღვაწისგან ან იმასთან დაკავშირებული პირისგან აიღო. აქ მოყვანილი არაერთი ცნობა იოსებს, როგორც ჩანს, ზაქარია ჭიჭინაძისგანაც ჰქონდა მიღებული. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ ლექსიკონში დაგვეტოვებინა ისეთი პირნი, რომლებიც XIX-XX საუკუნის შვილები იყვნენ ან ისინი, ვინც XIX საუკუნეში გარდაიცვალნენ, ანუ იმათი გარდაცვალება 1801 წელს ან მის შემდეგ მოხდა. ამით ლექსიკონი უფრო ღირებული და აკადემიური გახდა. ამიტომაც ვუთითებთ გამოცე-

ლი: **„ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი** ამით არ მთავრდება და არც უნდა დამთავრდეს, რადგან ჩვენ ქართულ გზაზე **დიდი წარსულიდან დიდი მომავლისკენ მივდივართ.**

და ჭეშმარიტად გულს ხვდება მამულიშვილური შეძახილიც: **კეთილი იყოს ეს სვლა და კვლავაც დიდი სახელებით შეივსოს „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი!“.**

რასაკვირველია, კიდევ გამოჩნდებიან იოსებ იმედაშვილის ტოლფარდი მოღვაწენი, ვინც გააგრძელებს ამ დიდ საქმეს და ისინიც, ვინც გამოსცემს.

„ლექსიკონის“ გამომცემლის დამში მომყვანთა შორის იოსებ იმედაშვილის შვილი და შვილიშვილი უწინარესად მადლობას უხდიან ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების დირექტორს, ბრწყინვალე ბიბლიოგრაფს **ლევან თაქთაქიშვილს,** რომლის წერილიც, ამ გამოცემის ბეჭდვის ისტორიის გარკვეულწილად ამსახველი, წინასიტყვაობას მოსდევს.

უთუოდ საჭიროა, ჩვენმა მკითხველმა გაიცნოს ეს ფრიად მნიშვნელოვანი წერილი, რათა ნათლად წარმოიდგინოს, თუ რა შრომაა გაწეული ამ უჩვეულო ენციკლოპედია-ლექსიკონის გამოსაცემად.

ერთადერთი შენიშვნა, რაც აუცილებლად უნდა ითქვას ის არის, რომ ამ უჩვეულო ენციკლოპედია-ლექსიკონის ეს პირველი ტომი, მართლაც საუკუნის წიგნი, მხოლოდ სულ 300 ცალია დაბეჭდილი.

პირდაპირ საკვირველია, რომ ჩვენი მდიდარი ბიზნესმენები მაინცდამაინც გამეტებულად არ იყოფენ ჯიბეებში ხელს. თუნდაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ავიღოთ, რომლის სრულ გამოცემას, თანაც დიდი ტირაჟით, რათა ყველა ქართულ ოჯახში იდოს, დღემდე საშველი არ დაადგა. კი, ბატონო, ვლანძღოთ, ვაგინოთ, ის წინა წყობილება, მაგრამ ქართული ლექსიკონის რვატომეული აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას რედაქციით მაშინ 50-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა.

ქართული ენა ხომ იგივე საქართველოა! განა, მიწა-წყლით რომ გვამცრობენ, ეს ენასაც უნდა შეეხოს და თანაც ჩვენივე ხელით?!

რა თქმა უნდა, ეკლესიებიც უნდა ვაშენოთ, მაგრამ ღმერთი ხომ უწინარესად იგივე სიტყვაა, რომელიც ჩვენგან სიყვარულსა და მოვლას ითხოვს!

საიდან სადაო, თუმცა მაინც უნდა ვთქვა: **არც ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა გვაწყენდა. მოკლედ, მრავალთ უმრავლესი ქართული საქმეა მოსაგვარებელი, რათა შეძლებისდაგვარად მაინც დავემგვანოთ ნამდვილ სახელმწიფოს და მარტო სხვათა შემყურეობის იმედად ნუ ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე.**

გურამ გოგიაშვილი

მას პერიოდსაც (1801-1952 წწ.).

გამოცემის მომზადება, ტექსტის წაკითხვა, რედაქტირება, დართული ბიბლიოგრაფიის დაზუსტება, დამატება – ეს ძალზე მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე მთლიანად ეროვნული ბიბლიოთეკის კლასიფიკაციის და დამუშავების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ქეთევან გზირიშვილმა გააკეთა, ხელნაწერის კომპიუტერზე აკრეფა აწ განსვენებულმა **თინა ლაღიძემ** შეასრულა. მან იმდენად შეისწავლა იოსებ იმედაშვილის ხელწერა, რომ ზოგჯერ თეორიულად წაუკითხავ და დაზიანებულ ფურცლებსაც ამეტყველებდა. დაასრულა ეს საქმე და გარდაიცვალა. ეს გამოცემა მის ხსოვნას უფრო მეტ საკრალურობას ანიჭებს.

ამ გამოცემამ ბატონი კობა და ამ წიგნის გამოცემის მონაწილენი ძალზე დაგვაახლოვა. იოსებ იმედაშვილის ლექსიკონის მთელი მასალა, მათ შორის ამ გამოცემაში მოყვანილი მოღვაწეების ფოტოების მთელი კოლექცია დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. ალბათ, მათი ერთად გამოქვეყნების დროც მოვა.

აი, ყველაფერი ის, რაც ამ გამოცემის ბეჭდვის ისტორიას წარმოადგენს, გამოცემისა, რომელიც XX საუკუნეში მომზადდა და იმ საუკუნეში დაბეჭდვა არ ეღირსა, ალბათ, ლოგიკურად, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის საიუბილეოდ უნდა დაბეჭდილიყო.

ლევან თაქთაქიშვილი

◎ ტკივილიანი ფიქრები

„გვეშველება რამე?“ „გვეშველება კი?“

ცნობილი მწერალი **გურამ პეტრიაშვილი** ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში წერს: „მე რომ კანონმდებელი ვიყო, ხელისუფალს ციხეში კი არ ჩავსვამდი, არამედ დილის 5 საათიდან ქუჩაში ჩამოვატარებდი და „დავათვალიერებინებდი“, როგორ იქქება ნაგვის ბუნკერში უამრავი ადამიანი. დილის ხუთ საათზე იმიტომ, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ არის ნაგვის მანქანა ჩამოვლილი და მას ასწრებენ, რომ რაიმე ამოიღონ. მაშინ ხელისუფალთ როგორმე იქნებ სინდისი გაეღვიძოთ“. ე.ი. პატივცემული მწერალი ამბობს, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ციხეში ჩასასმელია! მაგრამ ნუ ვიქნებით მკაცრები და სჯობს, მათ სინდისი გავუღვიძოთო! ე.ი. სინდისმძინარენი არიანო.

მე, როგორც რიგითი მოქალაქე და ჟურნალისტი, მინდა **ბევრ რამეში შევედავო ბატონ გურამს.** თუ ვინმე ციხეში ჩასასმელი და დასაჭერია, ანუ რაღაც დანაშაულისათვის დასასჯელია, ის ვიღაც (ხელისუფალი იქნება თუ ნებისმიერი მოქალაქე), რატომ არ უნდა ჩაჯდეს ციხეში? განა უფრო სწორი არ იქნებოდა, „ის“ (ხელისუფალი) ციხეში ჩასმის შემდეგ, **უკვე დაპატიმრებული,** სხვებთან ერთად, ორგანიზებულად გამოეყვანა ციხის ზედამხედველ პოლიციას (რასაკვირველია, ზემდგომთა ნებართვით) და თუნდაც ჟურნალისტების თანდასწრებით და ტელეკამერების წინ **დაენახვებინათ ნაგვის ურნებთან მშიერი ხალხის ფუსფუსი?** განა ეს უფრო სამართლიანი და სწორი არ იქნებოდა? მერწმუნეთ, მაშინ უფრო გაეღვიძებოდათ მათ „მძინარე“ სინდისი! (ბევრს საერთოდ სინდისი აქვს?). **ასეთმა „ჰუმანურმა“ მიდგომამ წარმოშვა სწორედ ე.წ. კოჰაბიტაცია,** რომელიც, როგორც ამბობენ, საზღვარგარეთელმა „მეგობარ-პარტნიორებმა“ მოგვახვიეს თავზე. **თუ დამნაშავე არ დაისაჯა, იქ სამართლიანობა როგორ დამყარდება?** მაშინ ხომ სასაცილოა, ასეთი „დათვალიერებებით“ ვინმეს სინდისი გაეღვიძოს? როდის იყო, რომ პოლიტიკოსები მწერლებივით ძლიერ განმცდელები იყვნენ (ბევრს ეს თვისება ნაკლადაც კი მიაჩნია!)?

ამას წინათ გაზეთში ამოვიკითხე ასეთი ციფრობრივი მონაცემი: **ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 97 მილიონი ტონა ვარგისი საკვები იყრება სანაგვე ურნებში!** ეს ის საკვებია, რომელიც მდიდრებს რჩებათ სუფრაზე და ნაგავში უძახებენ და სულ არ ადარდებთ, რომ მსოფლიოში მილიონობით ბავშვი (და მოზარდებიც) იღუპება შიმშილით. ბუნებრივია, ასეთი მდიდრები თბილისშიც არიან და მათ მიერ გადაყრილ ვარგის საკვებს არიან შესეული საცოდავი მშიერი მოქალაქეები. **საქსტატის მონაცემებით, მოსახლეობის 21,90 პროცენტის სიღარიბის აბსოლუტური ზღვარს ქვემოთ იმყოფება.** მსოფლიო ბანკის მონაცემებით კი მათი რიცხვი 24 პროცენტს აღწევს, 32 პროცენტია ღარიბი, 37 პროცენტი ზომიერად ღარიბი. ჩვენთან საშუალო ფენას მხოლოდ 7 პროცენტი შეადგენს.

ჩვენი გაზეთის მკითხველები ტელევიზიებშიც ხშირად ისმენენ, რომ მთელ მსოფლიოში მდიდრები უფრო მდიდრდებიან და ღარიბები უფრო ღარიბდებიან. მერე ვინმე იბრძვის ამ ტენდენციის წინააღმდეგ? – **არავინ და ვერავინ,** რადგან სწორედ ფულით გაზულუქებული რამდენიმე ასეული მილიარდერის დამნაშავე კასტა მართავს მთელ მსოფლიოს ფინანსებით. საქართველოში **მდიდართა ფენის 10 პროცენტის შემოსავლები 17-ჯერ აღემატება ღარიბთა (იგულისხმება საშუალო ღარიბები) 10 პროცენტის შემოსავლებს!** განა ასეთივე ფანტასტიკური არ არის ბობოლა ჩინოვნიკებისა და ბიზნესის მესვეურთა ხელფასები? არსად ისეთი დიდი განსხვავება არ არის ჩინოვნიკების ხელფასებსა და საარსებო მინიმუმსა და პენსიებს შორის, როგორც ჩვენთანაა!

სანამ ასეთი განსხვავება იქნება, განა როდისმე სამართლიანობა დამყარდება?!

და ამის ფონზე, ძვირფასო მკითხველო, (როგორც ტელევიზიით გამოაცხადეს) **ბოლო 4-5 თვის განმავლობაში წამლებზე ფასები გაიზარდა 60 პროცენტით(!), მაღაზიებში პროდუქტებზე – 30-40 პროცენტით!** არ კლებულობს ბენზინზე ფასები, მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში დაკლებულია. იმატებს და მომატებულია ინტერნეტის ფასი, სატელეფონო გადასახადები და ა.შ.

ყველამ ვიცით, ბანკები სესხების ყულფებით როგორ ახრჩობენ ჩვენს მოქალაქეებს. გამწარებულმა ცნობილმა ანალიტიკოსმა დემურ გიორხელიძემ საჯაროდ, პრესაში ასეთი რამ თქვა: „ჩვენ რომ ვვარგოდეთ, ბანკების უმრავლესობას ცეცხლს უნდს ვუკიდებდეთ!“ მეორე რომელიღაც ექსპერტმა „შენიშვნა“ მისცა: „ბანკებს აფთიაქები რატომ არ მიაყოლეო(!)“ როგორც წერენ გაზეთებში, საქართველოში სამ ფარმაცევტულ კომპანიას აქვს მონოპოლიზებული მთელი სააფთიაქო ბაზარი და შეთანხმებულად უმატებენ წამლებს ფასებს (წამლების დიდი ნაწილიც ფალსიფიცირებული ან უხარისხოა!). ჯანდაცვის სამინისტრო თითქოს რაღაც ზომებს ღებულობს, ზოგიერთ წამალზე ფასები დაიკლეს. ესეც კარგია, მაგრამ ამ შეღავათებით ავადმყოფების მხოლოდ ხუთი პროცენტი თუ სარგებლობს! დანარჩენი? აფთიაქებში პაციენტთა მიზიდვისთვის კიდევ რაღაც „ღიმილების“ რაოდენობის თაღლითური „ხაფანგი“ აქვთ დაგებული. როცა ძალიან გაიზრდება ეს „ღიმილები“, მაგალითად, თუ 200-ს მიაღწევს, მაშინ 15-20 ლარის წამლები უფასოდ ეძლევათ. რა ჰუმანურები არიან ჩვენი აფთიაქარები და მათი ხელმძღვანელებიო, – გულში ვამბობდი (ჩემი პრაქტიკიდან მაგალითს გიყვებით) და რადგან ფული არ მქონდა, „ღიმილით“ მოვითხოვე წამლების მიღება. ცივი წყალი გადამასხეს: ეგ წამლები „ღიმილით“ შეძენას არ ექვემდებარებაო! ასე, რომ, ჩემო მეგობრებო, ღიმილი პირზე შემაშრა! თუმცა კარგია ის, რომ რაღაც ლატარიას ათამაშებენ და ამ ლატარიით PSP აფთიაქში ერთმა ბორჯომელმა კიდეც მოიგო 25 000 ლარი! გათამაშებაში იყო მანქანაც, ბინაც, და ა.შ. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს, ძვირფასო მკითხველო! რამდენად მდიდარი უნდა იყოს კომპანია, **როგორ ძარცვავენ საცოდავ ავადმყოფებს,** რომ ასეთ დიდი თანხის მოგებებს აწესებენ ლატარიით!

ყველაზე მეტად გული მომიკლა ერთმა ცნობამ (ტელევიზიით მოსმენილმა და გაზეთებში ამოკითხულმა): **თურმე თურქი ექიმები გაოცებული არიან კიბოთი დაავადებული ქართველების რიცხვით, რომლებიც მათ კლინიკებს აკითხავენ(!). არ არის ეს ჩვენი ერისთვის ტრაგედია?** რამდენს კიდევ არა აქვს შესაძლებლობა, რომ თუნდაც თურქეთის კლინიკებს მიაკითხონ! მთელ მსოფლიოში საქართველო აღქმულია წალკოტად (ამიტომაც მატულობენ ტურისტები) და ამ წალკოტში თურმე უამრავი კიბოთი დაავადებულია! რატომ? ვინმე კითხულობს და ეძებს ამის მიზეზებს? **მთავრობა პრევენციულ ზომებს ღებულობს?** ჯერ ერთი, რატომ მიდიან საზღვარგარეთ და აქ რატომ არ არის კიბოზე მკურნალობის მაღალი დონე, როცა კლინიკები იკვეხიან, ესა და ეს უძვირფასესი აპარატი ჩამოვიტანეთო? ერთ-ერთი მიზეზი ისიც ყოფილა, რომ თურქეთში უფრო იაფი ყოფილა მკურნალობა, **აქ კი, ქართველი ექიმები თავისიანებს ყვლეფენ და ძარცვავენ,** ისე ძვირს აფასებენ მკურნალობას. **აი, ამიტომაც ვართ ქართველები მაგრები!**

ჩვენი ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კიბოს გახშირების ერთ-ერთი მიზეზია გენმოდიფიცირებული საკვების მასობრივად შემოტანა და მისით კვება. მე ადრეც არაერთგზის აღვნიშნე, რომ საქართველოში შემოდის ისეთი გენმოდიფიცირებული პროდუქტები, რომელთა შეტანა, მაგალითად, ჩვენს მეზობლებს – სომხეთს და აზერბაიჯანს აკრძალული აქვთ! ჩემამდე არ დადის, რაც ასაკრძალია, **რაც გვაავადებს და გვხოცავს, მის შემოტანას რატომ არ ვკრძალავთ? ესაა მთავრობის ზრუნვა ხალხზე?** ბიზნესი ჩაკვდებაო. **რა ჯანდაბად გვინდა ასეთი ბიზნესი?**

ახლახან გვაცნობეს, რომ მაღაზიებში არსებულ პროდუქტებზე დაკანონდება ეტიკეტების დაკვრა **მსხვილი შრიფტით,** ესა თუ ის პროდუქტი რა დანამატებსაც შეიცავსო. თურმე 400-მდე რაღაც დანამატს ურევენ ბიზნესმენები თავიანთ წარმოებულ პროდუქტებში! **მათი წაკითხვა საქმეს უშველის?**

ანდა ავიღოთ პურის ხარისხი. ისეთი საფუარი შემოაქვთ თურმე საზღვარგარეთიდან (რატომ შემოაქვთ იქიდან?), რომ იმისით გამომცხვარი პური მეორე დღისთვის აღარ ვარგა და ადამიანს აავადებს კიდეც. ასევეა პეფსინი და მისი ხარისხი. ყველა პეფსინით ამზადებს უკვე ყველს. წესიერ, გემრიელ ყველს ვეღარც კი ყიდულობ ბაზარში! (ასევეა ბორჯომშიც!). მეორე დღისათვის ასეთი ყველი უკვე ყარს...

ამას წინათ ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში, მისივე გახმოვანებული და გაპიარებული კითხვა დაუსვეს ჩვენს საყვარელ მსახიობს **კახი კავსაძეს: „გვეშველება რამე?“...** აი, რა უპასუხა მან: **„თუ შევძლებთ ერთმანეთის პატივისცემასა და სიყვარულს, მაშინ უეჭველად გვეშველება!“.**

ჩვენს დიდ მსახიობს ახლა მე შევუბრუნებ დამატებით კითხვას: **„შევძლებთ კი?“.**

უჩა ჯანგირაშვილი
ქ. ბორჯომი

ჩინური ენის სწავლება სკოლებში მე-5 კლასიდან დაიწყება

სკოლებში ჩინური ენის სწავლება, სავარაუდოდ, 2019-2020 სასწავლო წლებიდან დაინერგება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განუცხადეს, სკოლების სურვილის შემთხვევაში, ჩინური ენა სასწავლებელში მეორე უცხოურ ენად შევა.

უწყების ინფორმაციით, ჩინური ენის მეორე უცხოურ ენად არჩევის შესაძლებლობა ნებისმიერ საჯარო სკოლას მე-5 კლასიდან ექნება.

„ჩინურ ენასთან დაკავშირებით შარშან დაიწყო მუშაობა, შემუშავდა სტანდარტი. უკვე შემუშავებულია ასევე პროგრამა. როგორც იცით, პირველი კლასიდან უცხოურ ენად საჯარო სკოლებში დაშვებულია ინგლისური ენის სწავლება, ხოლო მეხუთე კლასიდან, ჩინური ენა, როგორც მეორე უცხოური ენა, სკოლებმა სხვა ევროპულ ენებთან ერთად სურვილის მიხედვით შეუძლიათ აირჩიონ“, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროში. რაც შეეხება მასწავლებელთა გადამზადებას, როგორც „ინტერპრესნიუსს“ მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრში განუცხადეს, ჯერჯერობით განათლების სამინისტროდან არ მიუღიათ დავალება, რამდენი პედაგოგის გადამზადებაა საჭირო პირველ ეტაპზე, ან როდის უნდა დაიწყოს მასწავლებელთა გადამზადების კურსი.

2008 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ!

20 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, 1999 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ, ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ „ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲡ“ ᲔᲫᲔᲑᲓᲜᲔᲜ. 26 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ, ᲗᲐᲜ ᲔᲤᲔᲡᲔᲑᲔᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲪ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ. ᲣᲙᲕᲔ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲪᲘᲜᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲚᲝ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ. ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲕᲘᲜ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲕᲚᲐᲨᲘ? ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ? ᲡᲐᲘᲢ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲠᲢᲘᲝᲛ ᲙᲠᲣᲒᲚᲝᲕᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲛᲘᲢᲠᲘ ᲕᲝᲚᲩᲔᲙᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ: 1990-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲯᲐᲭᲒᲣᲤᲔᲑᲔᲑᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜᲐᲪ ᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲓᲐᲗ, ᲕᲘᲜ �გᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ „ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ“...

ᲐᲠᲢᲘᲝᲛ ᲙᲠᲣᲒᲚᲝᲕᲘ: ᲔᲚᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡᲙᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲭᲒᲣᲤᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲡ ᲤᲚᲝᲑᲓᲐ — ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙ-ᲘᲖᲛᲐᲘᲚᲝᲕᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲜᲪᲔᲕᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲭᲒᲣᲤᲔᲑᲘ. ᲝᲠᲘᲕᲔᲡ „ᲙᲠᲘᲨᲐ“ ᲘᲧᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲐ. ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲯᲐᲭᲒᲣᲤᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ.

ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲖᲛᲐᲘᲚᲝᲕᲝᲔᲚ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲝᲓᲘᲜᲪᲝᲕᲝᲡ ᲡᲐᲑᲐᲟᲣ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲔᲬᲧᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲗᲘ. ᲐᲛ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡ ᲙᲣᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲘᲣᲠᲘ ᲖᲐᲝᲡᲢᲠᲝᲕᲪᲔᲕᲘ. ᲔᲡ ᲔᲪᲝᲢᲐᲕᲐᲗ ᲓᲐ ᲩᲔᲙᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲐᲬᲧᲔᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲠᲐᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲐᲠᲮᲘ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲔᲯᲘ ᲨᲔᲛᲝᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲓᲐ ᲩᲔᲙᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲠ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ? ᲡᲐᲘᲢ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲠᲢᲘᲝᲛ ᲙᲠᲣᲒᲚᲝᲕᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲛᲘᲢᲠᲘ ᲕᲝᲚᲩᲔᲙᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ.*

ᲕᲔᲑᲘ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲐ. ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ „ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲢᲔᲠᲘᲡᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲒᲠᲣ (ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ) ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲤᲣᲚᲡ.

— ᲔᲡ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ?

— ᲘᲐᲠᲐᲦᲡ ᲕᲧᲘᲓᲘᲗ ᲜᲐᲠᲙᲝᲙᲐᲠᲢᲔᲚᲔᲑᲖᲔ, ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲔᲑᲖᲔ ᲯᲣᲜᲒᲚᲔᲑᲨᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲕᲘᲡᲬᲠᲝᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ „ᲞᲣᲢᲘᲜ-ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ“ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ, ᲘᲥ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ „ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐ“: ᲘᲥ ᲮᲝᲛ ᲛᲐᲓᲣᲠᲝᲡ ᲪᲝᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲑᲐᲠᲝᲜᲘᲐ, „ᲙᲝᲙᲡᲘ“ ᲛᲐᲗᲘ „ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡ“ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ.

— ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲙᲐᲑᲝ-ᲕᲔᲠᲓᲔᲨᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲛᲘᲗ 9,5 ᲢᲝᲜᲐ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ. ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲔᲡᲔᲪ „ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲢᲔᲠᲘᲐ“?

— ᲔᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲙᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ, ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ, 2000-ᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ. ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲒᲠᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲫᲛᲝᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲙᲠᲘᲡᲢᲘ ᲙᲘᲜᲐᲰᲐᲜᲘ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲜᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲕᲘ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ. ᲛᲐᲡ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲕᲐᲟᲘ ᲓᲔᲜ ᲙᲘᲜᲐᲰᲐᲜᲘ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲢᲐᲑᲑᲘᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲓᲣᲑᲐᲘᲨᲘ, ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲔᲑᲨᲘ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲔᲡ ᲙᲐᲠᲢᲔᲚᲘ?

— ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲡ ᲑᲘᲗᲣᲛᲐᲓ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ: ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲡ — ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲰᲐᲨᲘᲨᲡ — ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲨᲘ. ᲨᲔᲐᲥᲕᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ. ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲤᲘᲐᲡ, ᲜᲔᲐᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲤᲘᲐᲡ, ᲐᲓᲐᲛᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ (ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲔᲚᲘ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘ). ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲙᲘᲜᲐᲰᲐᲜᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲨᲐᲕ ᲑᲐᲖᲐᲠᲗᲖᲔ. ᲙᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲫᲐᲚᲐᲐ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲒᲡᲢᲔᲠᲔᲑᲘ. ᲑᲘᲜᲐ ᲣᲓᲔᲕᲔᲗ ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲨᲘ (ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ) ᲓᲐ ᲙᲝᲡᲢᲐ-ᲓᲔᲚ-ᲡᲝᲚᲨᲘ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ. ᲘᲥ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲠᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲔ ᲜᲐᲞᲘᲠᲜᲐᲖᲔᲐ ᲛᲐᲠᲝᲙᲝ, ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲙᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲚᲝᲚᲔᲑᲘ, ᲛᲐᲛᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘᲜᲐᲰᲐᲜᲔᲑᲘ, ᲓᲣᲑᲐᲘᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲐᲐ ᲒᲠᲣ-Ს ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲔᲜ-ᲓᲝᲑᲘᲐᲜ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲬᲔᲠᲔᲜ, ᲙᲠᲘᲡᲢᲘ ᲙᲘᲜᲐᲰᲐᲜᲛᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲣᲙᲔᲗ ᲔᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲡ.

— ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐ ᲠᲝᲚᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲒᲠᲣ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲑᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐ?

— ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ, ᲛᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡᲬᲠᲔᲑᲐᲐ ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙ-ᲘᲖᲛᲐᲘᲚᲝᲕᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲭᲒᲣᲤᲔᲑᲐ — ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲨᲔᲤᲝᲑᲐᲡ.

— ᲓᲐ ᲒᲔᲛᲘ „Eser“-ᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘ ᲓᲐᲓᲐᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲘᲥ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲩᲜᲓᲜᲔᲜ?

— ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲙᲘᲜᲐᲰᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲓᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲔᲑᲘᲗ ᲗᲣᲠᲥᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ. ᲐᲠᲐ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲢᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲘ, ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ კი ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ. ᲰᲝᲓᲐ ᲛᲘᲔᲥᲘᲠᲐᲕᲜᲔᲜ ᲙᲝᲜᲢᲔᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲘᲓᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲔᲑᲨᲘ.

— ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲠᲣ-Ს ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲞᲠᲘ�გᲝᲟᲘᲜᲡ, „ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲡ“. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲣᲛᲔ�გᲝᲑᲠᲓᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲞᲠᲘ�გᲝᲟᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ?

— ᲠᲣᲡᲣᲚ ᲟᲐᲠᲒᲝᲜᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲛᲜᲐ — „фронтить“, ᲐᲜᲣ ᲤᲠᲝᲜᲢᲛᲔᲜᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲨᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ. ᲐᲘ, ᲞᲠᲘ�გᲝᲟᲘᲜᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲛᲔᲜᲓᲘᲐ.

ᲞᲠᲘ�გᲝᲟᲘᲜᲛᲐ — ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲛᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲞ-ᲡᲢᲝᲞᲘᲡ ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲛᲐ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐ.

— ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ, ᲛᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡᲬᲠᲔᲑᲐᲐ ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙ-ᲘᲖᲛᲐᲘᲚᲝᲕᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲭᲒᲣᲤᲔᲑᲐ — ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲨᲔᲤᲝᲑᲐᲡ.

ᲓᲛᲘᲢᲠᲘ ᲕᲝᲚᲩᲔᲙᲘ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)



„ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ-2“: ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲐ, ᲓᲐᲨᲘᲜᲔᲑᲐ, ᲡᲔᲥᲡ-ᲯᲐᲨᲣᲨᲝᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ �გᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ „�გᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘᲡ“ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ „�გᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘ“ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ-2“-ᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜ�გᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲔᲜ, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲘᲔᲜᲡ ᲰᲝᲤᲡ�გᲐᲐᲠᲓᲘ.

ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐ�გᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲬᲘ�გᲜᲘ „ᲡᲘᲮᲐᲠᲑᲔ, �გᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘ: ᲠᲝ�გᲝᲠ ᲠᲘᲡᲙᲐᲕᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ Nord Stream-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ“ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ �გᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ Ე

გუდამაყრელები ჰესების წინააღმდეგ

მოექცევა თუ არა შავი არაგვი მილში?

გუდამაყრელები ხეობაში ჰესების მშენებლობის პერსპექტივას აპროტესტებენ. შპს „სოლო ენერჯი“ მდინარე შავ არაგვსა და მდინარე ბაკურხევზე ორი ჰესის „შავი არაგვისა“ და „შავი არაგვი 1“-ის მშენებლობას გეგმავს.

შესაძლოა, შესწავლის შემდეგ გაირკვეს, რომ არაფერი გამოვა

კომპანიის მფლობელის **გიორგი აფციაურის** თქმით, გეგმის მიხედვით, ჰესები მცირე ზომისა იქნება, 4.5 და 3-მეგავატიანი სიმძლავრის. მისი თქმით, ადგილობრივების შიშები ჰესების მშენებლობის გარშემო უსაფუძვლოა:

„ჯერჯერობით არ არის დადგენილი არცერთი ის კომპონენტი, რომლის საფუძველზეც შეიძლება შეფასებული იყოს ჰესებიდან გამომდინარე ან საშიშროება და ან სარგებელი. ჯერ უნდა დაიწეროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, შემდეგ უნდა დადგინდეს ტექნიკური პარამეტრები, პროექტის ეკონომიკური ღირებულება. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკო კონკრეტულ გეგმაზე, რა იქნება და როგორ იქნება, რას მოიტანს ჰესების მშენებლობა. არსებობს მხოლოდ ჩემი მოლოდინი და ვარაუდი, რომელიც შესაძლებელია, რომ აცილებული იყოს რეალურობას და შესწავლის შემდეგ გაირკვეს, რომ არაფერი გამოვა“.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის დამფუძნებელი ამ ეტაპზე, არ საუბრობს პროექტის დეტალებზე, უკვე არსებობს ჰესების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი და მისი სკოპინგის ანგარიში, ანუ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და არის წინასწარი დოკუმენტი, რომელსაც ამზადებს საქმიანობის განმახორციელებელი ან კონსულტანტი, რომლის საფუძველზეც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასცემს დასკვნებს.

სკოპინგის ანგარიშის განხილვა 11 იანვარს სოფელ კიტოხში გაიმართა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, დოკუმენტის განხილვა ნაჩქარევად დაიგეგმა და მას სულ 7 ადგილობრივი ესწრებოდა, მაშინ, როდესაც ხეობაში 230-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. სწორედ ამ განხილვის შემდეგ შეიქმნა პეტიცია სახელწოდებით „დავიცვათ გუდამაყრის ხეობა ჰესებისგან“.

არაგვი თავს უშველის, არაგვი არ გაჩერდება მილებში...

ეთერ წიკლაური გუდამაყრის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგია. ის შიშობს, რომ ხეობაში ჰესების მშენებლობა და მდინარე არაგვის მილებში მოქცევის პერსპექტივა ხეობას დიდ პრობლემას შეუქმნის:

„აპრილ-მაისში, როცა ჭალებში წყლის დიდი ოდენობა იყრის თავს, როცა არაგვი ძალიან ჩქარია და მაღალი მთებიდან წამოსულ მდინარეს თან მოაქვს ქვა-ღორღი, გზადაგზა დამტვრეული ხეები, რა ნაგებობამ უნდა გაფილტროს ეს მასა, რომ შემდეგ, მილებში გასუფთავებული წყლის მასა შეუშვან? კატასტროფას მოუტანს ეს მთელ ხეობას, ჯერ რა ვართ დარჩენილნი და იმდენს იზამენ, ძალით აგვაყრევინებენ თავს. არაგვი თავს უშველის, არაგვი არ გაჩერდება მილებში, ადგილობრივებმა რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ჩვენი იდენტობა არაგვს უკავშირდება. არაგვის სილაღით, მასთან ჭიდილში იბადებიან და იზრდებიან ჩვენი ახალგაზრდები. დღეს კი გვეუბნებიან, რომ არაგვი მილებში უნდა მოექცეს“.



გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმის გვერდით იგეგმება აუზის გაკეთება...

წარმოშობით გუდამაყრის ხეობიდანაა **გიორგი ბეძაური**. ის უახლოეს მომავალში ხეობაში სოფელ გამსში, ოჯახთან ერთად გეგმავს დაბრუნებას და იქ ტურისტული საქმიანობის წამოწყებას. გიორგი ვარაუდობს, რომ ჰესების მშენებლობა და შავი არაგვის მილებში მოქცევა ხეობას დაუკარგავს ტურისტულ მიმზიდველობას:

„მინდა, რომ ტურისტებს ვანახო ისეთი ხელუხლებელი ბუნება, რომელიც მათ მთაში იზიდავს. ჭალები, ჩქარი მდინარე... ჰესების მშენებლობა კი ხეობაში პირველყოფილ ბუნებას გაანადგურებს. გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმის გვერდით, მისი სახლიდან 200 მეტრის დაშორებით, იგეგმება აუზის გაკეთება და უკვე იქიდან არაგვი მილებში ექცევა და ასე ჩამოივლის სოფლებს — ჩოხს, გამსს, დიდებანს, კოტორიანს, კიტოხს... ეს სოფლები რჩება არაგვის გარეშე. გარდა ამისა, არაგვში სახლობს წითელკოპლიანი კალმახი, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი. თუკი არაგვი მილებში მოექცევა, კალმახიც გადაშენდება“...

გარდა ამისა, ჰესების, განსაკუთრებით კი „შავი არაგვის“ ჰესის საპროექტო ტერიტორიას ადგილობრივები გამოიყენებენ მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა პირუტყვის საძოვრად. გუდამაყრის ხეობის მკვიდრნი ფიქრობენ, რომ მშენებლობის პროცესში და პროექტის განხორციელების შემდეგ, მწყემსებს შეეზღუდებათ გადაადგილება საძოვარ ტერიტორიებზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სოფლების დაცლასა და მიგრაციას.

ნინო გუჯარაიძე, გარემოს დამცველი ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი, ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხეობაში კომპანია საკმაოდ პატარა ჰესების მშენებლობას გეგმავს, სამწუხაროდ, მსგავსი პროექტების განხორციელებისას გარემოზე ზემოქმედება არც ისეთი პატარაა.

გარემოს დამცველი იხსენებს 2014 წლის აგვისტოში დარიალის ხეობაში ჩამოწოლილ მეწყერს, დარიალჰესის მშენებლობის პარალელურად. სწორედ იმ პერიოდში, თერგის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და მდინარე თერგის მილებში მოქცევას აპროტესტებდნენ როგორც ადგილობრივები, ისე გარემოს დამცველები:

„ამ ადამიანების შიში ჩვენთან დაგროვილ ნეგატიურ გამოცდილებას უკავშირდება. გუდამაყრის ხეობის შემთხვევაში, საბედნიეროდ, პროექტი ჯერჯერობით სკოპინგის ეტაპზეა და გამოკვლევები წინ არის, თუმცა, სამწუხარო პრაქტიკა გვაჩვენებს იმასაც, რომ გამოკვლევების ჩატარების ხარისხი საკმაოდ დაბალია ხოლმე. განსაკუთრებით ეს ეხება გეოლოგიურ გამოკვლევებს, რომლებიც ან ზედაპირულად ტარდება და ან საერთოდ არ ტარდება, და მხოლოდ ნებართვის გაცემის შემდგომ ევალება ხოლმე კომპანიას წარმოადგინოს ასეთი ანგარიში“.

ნინო გუჯარაიძე იმასაც ამბობს, რომ განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფოს არ აქვს არანაირი ცოდნა ადგილობრივი გეოლოგიის შესახებ. მისი თქმით, თუკი საბჭოთა კავშირის პერიოდში ასე თუ ისე ტარდებოდა კვლევები, უკვე რამდენიმე ათწლეულია, სახელმწიფო არ ფლობს ინფორმაციას მაღალმთიან რეგიონებში შეცვლილი სიტუაციის შესახებ:

გვქონია შემთხვევა, როდესაც 1939 წლის, 1962 წლის დაკვირვების მონაცემებს ეყრდნობიან პროექტის ავტორები...

> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, უწყების გარემოს დაცვითი შეფასების დეპარტამენტი ამჟამად მუშაობს სკოპინგის დასკვნაზე, რის შემდეგაც, პროექტის ავტორებმა უნდა წარადგინონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება, მიეცემა თუ არა კომპანიას ჰესების მშენებლობის უფლება. ჰესების „შავი არაგვი“ და „შავი არაგვი 1“ ჰესების მშენებლობა გათვალისწინებულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ თორელანის ტერიტორიაზე, მდ. შავ არაგვსა და მის შენაკად ბაკურხევზე. ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ ჰესი ელექტროენერგიას გამოიმუშავებს სათავე ნაგებობებსა და ჰესის შენობას შორის შექმნილი სიმაღლეთა სხვაობის (დაწნევის) გამოყენებით. გამომუშავებული ელექტროენერგია ჩაერთვება სახელმწიფო ელექტროსისტემაში.
>
> **ნინო თარხნიშვილი**

ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2018 წლის ფინანსური ანგარიში

2018 წელს სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის 94937 ლარი.

2018 წელს გაწეულია 86035 ლარის ხარჯი. ჩატარდა 61 ვეტერანენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ომის მონაწილის 4 ვეტერანთან შეხვედრა, 92 ვეტერანი ქალბატონებისთვის 3 და 8 მარტის აღნიშვნა და დეკემბრის თვეში მოეწყო 85 წლის და ზევით 33 ვეტერან ენერგეტიკოსებთან შეხვედრა — სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე გადაცემული იყო 5952 ლარის საჩუქარი. 115 ვეტერანზე გაცემულია დახმარება 16100 ლარი, წახალისების ფონდის (ჯილდო, პრემია) ხარჯმა შეადგინა 18370 ლარი, გაწეულია საკანცელარიო ხარჯი 843 ლარი, ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა 40048 ლარი, კომუნალურ მომსახურებაზე დაიხარჯა 1008 ლარი, ბანკის მომსახურებისათვის გადახდილია 172 ლარი, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე დახარჯულია 958 ლარი, კომპიუტერის ხარჯი 115 ლარი, დარიცხულია 2018 წლის ამორტიზაცია 122 ლარი, დაერიცხა ქონების გადასახადი 5 ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის დახარჯულია 274 ლარი, აუდიტის მომსახურებაზე გადახდილია 300 ლარი, ოფისის იჯარისთვის გადახდილია 600 ლარი, იუბილარი ვეტერანების ღონისძიებებზე და ვეტერანებთან შეხვედრებზე სურათების დამზადებაზე დახარჯულია 65 ლარი, ექსკურსიის მომსახურებაზე გაწეულია 250 ლარი, იუბილარ და ომის მონაწილე ვეტერანებისთვის მოწყობილ ფურშეტზე დაიხარჯა 800 ლარი, მივლინებაზე დახარჯულია 53 ლარი.

ბალანსი 1/01-2019 წლისთვის

აქტივი	წლის დასაწყისსი	საანგარიშო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისსი	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (1110, 1210)	8186	8035	მიმდინარე ვალდებულებები		
სხვა მიმდინარე აქტივები (1490, 1700, 1900)	1693	3053	შემოსავალი (6190)	10144	11889
გრძელვადიანი აქტივები (2160)	293	801	სხვა მიმდინარე ვალდებულებები (3320)	28	
სულ აქტივები	10172	11889	სულ პასივები	10172	11889

თავმჯდომარე — იაშა ბოლქვაძე
ბუღალტერი — ციცინო ბენაშვილი
ფინანსური მენეჯერი — ნინო ჩირგაძე

◎ კალათბურთი

ზურაბის რჩეულნი

ილიას ზურაბმა ხვალინდელი მატჩისთვი მოთამაშეები შეარჩია. საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელმა შემადგენლობა საბერძნეთში გამგზავრების წინ, ბოლო ვარჯიშის შემდეგ დაასახელა აი, ისინიც: ცინცაძე, ანდრონიკაშვილი, მაკფადენი, ფხაკაძე, სანაძე, ჭოჭუა, ბოქოლიშვილი, ბერიშვილი, ლონდარიძე, დვალიშვილი, ბექაური, შერმადინი. ვარჯიშის დასკვნით ნაწილს მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებიც მწვრთნელებს და მოთამაშეებს მოახლოებული შეხვედრების შესახებ გაესაუბრნენ.

ჩვენი ნაკრები ელადაში 11 კალათბურთელით გაემგზავრა, ხოლო მე-12 მოთამაშე – თად მაკფადენი პარტნიორებს ჰერაკლიონში შეუერთდება, სადაც საქართველო ხვალ საბერძნეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. „ჯვაროსნებს“ ვერ დაეხმარება „ბუდუჩნოსტის“ 19 წლის ცენტრი გოგა ბითაძე, რომელმაც 1 კვირის წინათ ადრიატიკის ლიგის მატჩში ფეხი იტკინა და ვარჯიშს გუშინ შეუდგა. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და ნაკრების ხელმძღვანელობა მაქსიმუმს აკეთებენ საიმისოდ, რომ ბითაძემ 24 თებერვალს ესტონეთის წინააღმდეგ თბილისში ითამაშოს.

სხვათა შორის, გოგას გუნდმა მის არყოფნაში მონტენეგროს თასი მოიპოვა

საქართველოს ეროვნული ნაკრები საბერძნეთში გუშინ თბილისი – ათენის რეისით გაფრინდა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 2 ტურია დარჩენილი, რომლის ფარგლებშიც ჩვენი ნაკრები ხვალ საბერძნეთში, ხოლო 24 თებერვალს თბილისში ესტონეთის ნაკრებთან ითამაშებს.

მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრებს 4 გამართული მატჩიდან 3 მოგება აქვს, თუმცა, პირველი და მეორე ეტაპების გაერთიანებულ ცხრილში 5-5 მოგებ-წაგება გააჩნია და მუნდიალზე გასვლის შანსი გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე კონკურენტ სერბეთს. მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავიდეს, საქართველოს ნაკრებმა დარჩენილი ორივე შეხვედრა უნდა მოიგოს, ხოლო სერბეთმა – ესტონეთთან და ისრაელთან – წააგოს. გუშინ და დღეს ილიას ზუროსის გუნდმა „Dyo Aorakia“-ს არენაზე ივარჯიშა, სადაც ხვალ მასპინძლებს დაუპირისპირდება.

საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა **თანასის სკურტოპულოსმა** საქართველოსთან და გერმანიასთან მატჩებისთის 14 კალათბურთელს უხმო: **იოანის ატინაუ, ნიკოს გიკასი, ანტონის კონიარისი, ხრისტოს სალუსტროსი, ლეფტერის ბოხორიდისი, დიმიტრის კაკლამანაკისი, იანულის ლარენცაკისი, პანაიოტის ვასილოპულოსი, იოანის ბურუსისი, ლეონიდას კასელაკისი, ევანგელოს მარგარიტისი, ლინოს ხრისიკოპულოსი, დიმიტრიოს კაციველისი და დიმიტრიოს მავროეიდისი.**

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტორგოლა

„ფერარის“ საიდუმლო



„ფერარი“ განმარტავს, რომ მისი გადაწყვეტილება, ახალი სარბოლო ავტომობილი SF90 მუქი წითლით შეეღება, პრაგმატული მიზეზების შედეგია. გუნდის შეფ მათიას ბინოტოს თქმით, აღნიშნული ფერის გამოყენებამ წონის შემცირება გახადა შესაძლებელი. ამასთან, ის აეროდინამიკის მხრივაც უფრო ეფექტურია.

„ახალი ფერის გამოყენების მიზეზი ესთეტიკა არაა. პრიალა ფერზე უარის თქმით ჩვენ რამდენიმე ასეული გრამი მოვიგეთ. ეს ბევრი არაა, მაგრამ როცა ყველა მიმართულებით ცდილობ გაუმჯობესებას, მცირესაც ეფექტი მოაქვს“, – ამბობს ბინოტო.

სხვათა შორის, „ფერარიზე“ ადრე მსგავსი ფერის გამოყენება „რედ ბულმა“ დაიწყო (2016 წელს) და ამ შემთხვევაშიც მიზეზი წონის დაზოგვა იყო. „ფერარიმ“ ღებვის ახალი პროცესიც დაამუშავა, რომელიც უფრო გლუვი ზედაპირის მიღების საშუალებას აძლევს. მისი მეშვეობით, სპონსორების ლოგოები და წარწერები თუნდაც მცირე გადასვლებსაც აღარ ქმნის და, შესაბამიად, ჰაერის ნაკადსაც წინააღმდეგობა თითქმის არ ხვდება. ბინოტო ასევე შეეხო იმ ფაქტს, რომ SF90 წინამორბედთან შედარებით განიერია. ის ამბობს, რომ ავტომობილის პრაქტიკულად ყველა ელემენტი ახალი ან გაუმჯობესებულია. თუმცა, იმასაც უსვამს ხაზს, რომ ეს არის შარშანდელი კონცეფციის განვითარება და ძველი მოდელისგან ხელუხლებელი არაფერი დარჩა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მილთონ ჰეიგი: „დებიუტანტებით ძალიან კმაყოფილი ვარ“

საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებთა მატჩის შემდეგ „ლომების“ თავკაცმა **სანტიაგო სანტოსმა** აღიარა, რომ საქართველო მათზე ძლიერია და გამარჯვებას ნებისმიერ შემთხვევაში მოიპოვებდა: „ქარმა თამაშის მსვლელობაზე გავლენა კი იქონია, თუმცა, ვფიქრობ, რომ საქართველო გამარჯვებას ნებისმიერ შემთხვევაში მოიპოვებდა, რადგან ის ჩვენზე უფრო ძლიერი გუნდია. პირველ ტაიმში ქარის საწინააღმდეგოდ ვითამაშეთ და ამით საქართველომ ისარგებლა, შესვენების შემდეგ კი ქარის ფაქტორით ჩვენ ვერ ვისარგებლეთ“.

ქარის გავლენაზე ისაუბრა სტუმართა კაპიტანმა **ფერნანდო ლოპესმაც**:

„პირველ ტაიმში დაცვა გვიწევდა და თავს უფრო მეტად კომფორტულად ვგრძნობდით, ვიდრე მეორეში, როდესაც ქარის მიმართულებით ვთამაშობდით და შეტევაზე ვფიქრობდით. პირველ ტაიმში ჩვენმა შერკინებამ მეტოქეს რაღაც დონეზე გაუძლო, თუმცა, მეორე ტაიმში იგივე ვერ მოვახერხეთ“.

პირველ ტაიმში შერკინებაში არსებულ სირთულეებზე, დებიუტანტებსა და მატჩის მსვლელობაზე ისაუბრა **მილთონ ჰეიგმა**: „გოგიჩაშვილი ახალგაზრდა მორაგბეა, რომელსაც გამოცდილი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ უწევდა თამაში. ნებისმიერ მორაგბეს შეიძლება თამაში ისე არ წაუვიდეს, როგორც თავად სურს. მოდით, ასე ვთქვათ, გოგიჩაშვილს მძიმე თამაში ჰქონდა. ეს შევამჩნიეთ და მეორე ტაიმში შევცვალეთ, თუმცა, ცვლილება მის უნარებს არანაირად არ აკნინებს.

ქარის მიმართულებით თამაშისას ძალიან რთულია ბურთი განივად ჩაათამაშო და ფრთებამდე ჩაიტანო, რადგან ის ქარს წინ მიაქვს. მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა – ქარს ბურთი უკვე უკან, ჩვენს მხარეს მოჰქონდა. სწორედ ეს მესიჯი მივაწოდეთ ბიჭებს შესვენებისას.

გამომდინარე ამინდიდან, პატარა ტექნიკური წუნიც კი იზრდება და ამის გამო გადავწყვიტეთ ახლო-ახლო, ბრტყლად გვეთამაშა. როდესაც ვნახეთ, რისი შეცვლა შეიძლებოდა, ეს ცვლილებები მოვახდინეთ.

ძალიან კმაყოფილი ვარ დებიუტანტებით. განსაკუთრებით მინდა ქერდიყოშვილი გამოვყო, რომელიც ნოემბრის ტესტებზეც ჩვენთან იყო და მაშინ სათამაშო დრო არ მისცემია, თუმცა, ერთიც არ დაუწუწუნია და ამჯერად მან თავისი თამაში აჩვენა“.

დებიუტანტებისა და თამაშის დეტალების გარდა, რუსეთის რაგბის კავშირის წარმომადგენლის განცხადებაზე მოუწია პასუხის გაცემა **გიორგი ნემსაძეს**: მეტოქის შეუფასებლობა არ ყოფილა. შერკინება სპორტია სპორტში და მას ძალიან ბევრი ნიუანსი ახლავს თან. „ამავე დროს ტექნიკური დეტალები აქვთ პირველ და მესამე ნომრებს. ეს დეტალები ზოგჯერ ერგება მოწინააღმდეგეს, ზოგჯერ – არა. ზუსტად ეს დაინახეს მწვრთნელებმა, დროული ცვლილება გააკეთეს და ესპანეთს ძლიერი შერკინება რომ არ ჰყავდა, ეგრევე გამოჩნდა. მეტოქისგან მოლში ძლიერ თამაშს ველოდით. ლელოს გაშვების მომენტში იყო პატარა ტექნიკური წუნი, რომელიც არ უნდა დაგვეშვა.

ვემზადებით ბელგიასთან სათამაშოდ. რაც შეეხება რუსეთის რაგბის კავშირისა თუ ნაკრების წარმომადგენლების ხმამაღალ განცხადებებს, ადრეც გვსმენია და მას დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ მოედანზე ჩვენს საქმეს გავაკეთებთ და ყველაფერი იქ გამოჩნდება.

დათოს მეორე თამაში ჰქონდა, ხოლო გრიგოლს – პირველი და ორივემ ლელო გაიტანა, რაც დიდი წარმატებაა. ასეთი წნეხის დროს ეს ადვილი არაა. როგორც ჩანს, სამწვრთნელო შტაბმა და ჩვენ ამ ბიჭებს ისეთი პირობები შევუქმენით, რომ წნეხი შევუმსუბუქეთ. ახალი მოთამაშეების გუნდში ინტეგრაცია ძალიან კარგად ხდება. ისინი თავიდან ვარჯიშებზე მოდიან და გვეხმარებიან, მერე ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ, კომბინაციებს ხვეწენ და როდესაც მოედანზე გადიან, ის მაყურებლისთვისაა ახალი მოთამაშე, თორემ ჩვენთვის კარგად ნაცნობები არიან. ფაქტია, რომ ამას შედეგი მოაქვს და ასეთ პოლიტიკას ვემხრობი“.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი ისევ მეოცეა

გუშინ ATP-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა.

ნიკოლოზ ბასილაშვილი წინა კვირის მსგავსად ისევ მეოცე ადგილზეა. ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა – კეი ნიშიკორმა როჯერ ფედერერს გადაასწრო და ლეგენდა მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდა, როტერდამის ტურნირის გამარჯვებულმა გაელ მონფილსმა კი ერთბაშად ათი საფეხურით წინ წაიწია და ოცდამესამეა. *1. ნოვაკ ჯოკოვიჩი – 10 955 ქულა 2. რაფაელ ნადალი – 8320, 3. ალექსანდრ ზვერევი – 6475, 4. ხუან მარტინ დელ პოტრო – 5060, 5. კევინ ანდერსონი – 4595, 6. კეი ნიშიკორი – 4190, 7. როჯერ ფედერერი – 4100, 8. დომინიკ ტიმი – 3800, 9. ჯონ იზნერი – 3225, 10. მარინ ჩილიჩი – 3140, ... 20. ნიკოლოზ ბასილაშვილი – 1820.*

გიორგი ფოთაძე



◎ ინტერნეტიდან

დედამ შვილი დაჩრდილა

უკვე ერთი კვირაა, რაც მთელი საფეხბურთო სამყარო იტალიური „რომას“ 19 წლის შემტევ ნიკოლო ძანიოლოზე ლაპარაკობს და რაც არ უნდა უცნაური იყოს, მასზე მხოლოდ იმის გამო არ საუბრობენ, რომ ამ მართლაც ნიჭიერმა ახალგაზრდამ გასულ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „პორტუს“ ორი გოლი გაუტანა.

ძანიოლოზე საუბრები მას შემდეგ გახშირდა, რაც ფეხბურთელის უდავოდ შესანიშნავი გარეგნობის დედამ, 41 წლის ფრანჩესკა კოსტამ ინტერნეტში საკუთარი სუპერსექსუალური ფოტოების გავრცელება დაიწყო და ამან აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი პლანეტის სრულიად სამამრეთი. ნიკოლომ ადვილად შეამჩნია, რომ მისი კარგად ნათამაშები დედამისის ეშხმა გააფერმკრთალა და იმავე სოციალური ქსელის საშუალებით დედას მოუწოდა, გაჩერებულიყო და ისიც შეახსენა, რომ უკვე 41 წლის ქალია, რომელსაც მსგავსი ქმედებები აღარ ეკადრება. მაგრამ სიტუაციას უსეთი პირი უჩანს, აწი ამ ქალს შვილი კი არა, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვეღარ დააბამს...

როსტომ რაჭველიშვილი

სულთათანა

თეიმურაზ კოპალეიშვილი

89 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თვალსაჩინო ფიზიკოსი ატომბირთვის თეორიის დარგში, აკადემიკოსი **თეიმურაზ კოპალეიშვილი**.



თ. კოპალეიშვილი დაიბადა 1930 წლის 30 იანვარს ქ. სამტრედიაში, გლეხის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად გახსნილ ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე, რომელიც შემდგომ გადაკეთდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის რუსულ სექტორად. სწავლის დროს იყო ჯერ ფილიპე მახარაძის, ხოლო შემდეგ სტალინის სახელობის სტიპენდიატი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1953-56 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში თეორიული ბირთვული ფიზიკის სპეციალობით. მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ვაგან მამასახლისოვი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასისტენტად, ხოლო 1958-61 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა სამეცნიერო თუ სასწავლო თანამდებობებზე: ფიზიკის ფაკულტეტზე თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტად, ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის თეორიული განყოფილების გამგედ, ბირთვული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის განყოფილების გამგედ, ხოლო ამ ლაბორატორიის თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტად გადაკეთების შემდეგ, 2006 წლამდე იყო თეორიული ბირთვული ფიზიკის განყოფილების გამგე. პარალელურად, 1974-87 წლებში იყო თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრის გამგე.

თ. კოპალეიშვილმა წარმატებით გაიარა სამეცნიერო მოღვაწეობის რთული გზა: 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1976 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, 1979 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად.

ბ-ნი თეიმურაზი გახლდათ თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი თავის კოლეგებთან, აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელთან, ალბერტ თავხელიძესთან და რევაზ სალუქვაძესთან ერთად.

თ. კოპალეიშვილის სამეცნიერო ინტერესები მჭიდროდ უკავშირდებოდა თეორიულ ბირთვულ ფიზიკას და მან ეს დარგი ფუნდამენტური შრომებით გაამდიდრა. მას ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 5 მონოგრაფია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი პიმეზონების ბირთვებში შთანთქმის შედეგად ორი ნუკლონის გამოსვლის რეაქციებში ბირთვის სტრუქტურის ეფექტის განსაზღვრაში, რომელიც შემდგომ დაკვირვებული იქნა „ცერნ“-ში ჩატარებულ ექსპერიმენტებში. ეს ითვლება აღიარებულ კლასიკურ შედეგად და შესულია არაერთ მონოგრაფიაში. სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ელემენტარულ ნაწილაკთა სპექტრების კვლევა რელატივისტურ კვანტურ განტოლებებზე დაყრდნობით. ბირთვების სტრუქტურის შესწავლისას თ. კოპალეიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ადრონთა კვარკული აღწერის მნიშვნელობას.

აღსანიშნავია აგრეთვე მისი ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობა. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ბირთვული ფიზიკის სპეციალურ კურსებს თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე. მის კალამს ეკუთვნის დაჯახების კვანტური თეორიის ფუნდამენტური სახელმძღვანელოები, რომელთაგან მოკლე კურსი ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა საზღვარგარეთ. საინტერესოა, რომ ეს წიგნი გახდა 2000-2001 წლების ბესტსელერი. ბ-ნი თეიმურაზის ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ გაიკვლია გზა ცხოვრებაში და დღეს ისინი მსოფლიოში კარგად ცნობილი, ავტორიტეტული მეცნიერები არიან.

1977 წელს თ. კოპალეიშვილს ავტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია ბირთვებზე ფოტოდაბადების პროცესების შესწავლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის. მას მიღებული აქვს აგრეთვე პეტრე მელიქიშვილის სახელობის (1973), საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს (1983), ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის (1988) პრემიები.

აკად. თ. კოპალეიშვილი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა მთელ რიგ საერთაშორისო ფორუმებში და თვითონაც აწყობდა კონფერენციებს. ამ მხრივ მეტად რეზონანსული იყო 1984 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა რამდენიმე სხეულის პრობლემას ბირთვულ და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში.

ბატონი თეიმურაზი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გარდა გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი სტატუსით, არასდროს იყო გულგრილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ. განსაკუთრებით განიცდიდა განათლებისა და მეცნიერების დარგში არასახარბიელო მდგომარეობას და ბევრს ფიქრობდა მათი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე. იგი სამართლიანად თვლიდა, რომ საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას, შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი მსოფლიოს საგანძურში, პირველ ყოვლისა, თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით. ამიტომ, ქართული მეცნიერების საერთაშორისო დონეზე განვითარება მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს. მიზანშეწონილად თვლიდა, შექმნილიყო უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სისტემა, რომელიც განხორციელდებოდა ამ ორი სისტემის თანდათანობითი ინტეგრაციით. ამ და კიდევ სხვა საქმიანი წინადადებებით ბატონი თეიმურაზი აქტიურად გამოდიოდა პრესასა და მასმედიის სხვა საშუალებებში. ის იყო გამოუსწორებელი ოპტიმისტი — 70 წლის ასაკში დაწერა პუბლიცისტური წიგნი „მომავლის იმედით“, ხოლო 80 წლისამ ამ წიგნის გაგრძელება „ისევ მომავლის იმედით“, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ოპტიმისტურად ეჩვენებოდა საქართველოს მომავალი. ერთი შეხედვით მკაცრი შეხედულების უკან იმალებოდა მისი უაღრესი კეთილშობილება და უდიდესი პატიოსნება.

თეიმურაზ კოპალეიშვილი საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი პოზიციების დასაცავად ხანდახან არც მკვეთრ განცხადებებს ერიდებოდა კოლეგების მიმართ, რომლებიც ადვილად უგებდნენ და ეგუებოდნენ კრიტიკას მისი მხრიდან.

აკადემიკოსი თეიმურაზ კოპალეიშვილი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან — ვალმოხდილი მშობლიური ქვეყნის, ქართული მეცნიერების, საყვარელი ოჯახის წინაშე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აკადემიკოს თეიმურაზ კოპალეიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს. თეიმურაზ კოპალეიშვილის ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი.

ხსოვნა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის

თეიმურაზ კოპალეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

ჩვენი რედაქციის დიდ მეგობარს, ბატონ რეზო ამაშუკელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ძვირფასი დედმამიშვილის

ირაკლი ამაშუკელის

გარდაცვალების გამო.

85 წლის ასაკში კარლ ლაგერფელდი გარდაიცვალა



85 წლის ასაკში „შანელის“ სახლის კრეატიული დირექტორი, დიზაინერი კარლ ლაგერფელდი გარდაიცვალა. „ფიგაროს“ ინფორმაციით, ლაგერფელდი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ორშაბათს პარიზში, ამერიკულ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

კარლ ლაგერფელდი ჰამბურგში დაიბადა. 1952 წელს საცხოვრებლად პარიზში გადავიდა. 1974 წელს ლაგერფელდმა შექმნა საკუთარი ტანსაცმლის ხაზი, 9 წლის შემდეგ კი, „შანელის“ მოდის სახლის კრეატიული დირექტორი გახდა.

გორში ორმა თანაკლასელმა თვითმკვლელობა სცადა!

„ნიუსპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა ცოტა ხნის წინათ გორის ცენტრალურ უბანში მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, ერთმა არასრულწლოვანმა ვენები გადაიჭრა, მეორემ კი თავის ჩამოხრჩობა სცადა. 16 წლის გოგონა და ვაჟი გორის სამხედრო ჰოსპიტალში არიან შეყვანილი. მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობით დაიწყო.

ზუგდიდის ცენტრში სავალუტო ჯიხური გაძარცვეს

ჯიხურის თანამშრომლის თქმით, ობიექტიდან 2 000 ლარამდეა წაღებული. მოლარე ამბობს, რომ მასთან მოქალაქე დოლარის საყიდლად მივიდა და გამყიდველს სთხოვა, მისთვის, რაც შეიძლება, წვრილი კუპიურა მიწოდებინა. მას შემდეგ, რაც მან ფულის გადათვლა დაიწყო, მთლიანი შეკვრა მოქალაქემ ხელიდან გამოსტაცა და გაიქცა. ადგილზე პოლიცია მუშაობდა. გამოძიება ძარცვის მუხლით დაიწყო.

ავარიას ქალი ემსხვერპლა

მსხვერპლით დასრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა. ავტომობილი ქვეითად მოსიარულე შუახნის ქალს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

პოლიციამ ქობულეთის რაიონში ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ფაქტები გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილ ქურდობის ფაქტებზე, 1991 წელს დაბადებული მ.გ., 1992 წელს დაბადებული ფ.გ. და 1995 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები იმ დროს შეაჩერეს, როდესაც ისინი სანიაღვრე არხის ცხაურებით დატვირთული მიკროავტობუსით ბობოყვათის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ. გამოძიებით დადგინდა, რომ მათ აღნიშნული ცხაურები ქობულეთის სოფელ აჭყვაში მოიპარეს. პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გულითადი მეგობარი

შპს „საქგზამეცნიერების“ კოლექტივი გულითადად ულოცავს ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, ბატონ

თამაზ შილაკაძეს

დაბადებიდან 87-ე წლისთავს და უსურვებს მას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს თავისი დიდი ოჯახის, სამეგობროსა და შრომითი კოლექტივის საკეთილდღეოდ.

იგი ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებას“ ხელმძღვანელობს უცვლელად ჩამოყალიბების დღიდან და მისი გულითადი და კეთილშობილური დამოკიდებულება თანამშრომლებისადმი უსაზღვროა.

გასული წელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ბატონი თამაზ შილაკაძის ცხოვრებაში, როგორც პროფესიონალი მეგზევე და ჩვენი უფროსი კოლეგა არჩეული იქნა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად საგზაო-სატრანსპორტო სისტემების განვითარების კუთხით.

ვულოცავთ მას ამ მნიშვნელოვან აღიარებას და კიდევ ერთხელ ვუსურვებთ მეგზევისთვის დამახასიათებელი რკინისებური ჯანმრთელობის შენარჩუნებას და შემდგომ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

შპს „საქგზამეცნიერების“ კოლექტივი

საუდის არაბეთში უჩვეულოდ თოვს...

დედამიწაზე კლიმატი რომ შეიცვალა, ამას დედაბუნება ყოველდღე გვახსენებს. საუდის არაბეთში უკვე მეორე წელია, რაც თოვლი მოდის. ადგილობრივები ხუმრობენ კიდეც, შესაძლოა, მალე ეს თბილი ქვეყანა ზამთრის კურორტად გადაიქცესო!

თოვლის მოსვლით მოსახლეობა საკმაოდ გახარებულია. ქვეყანაში უკვე დაიწყეს ხელნაკეთი ციგებისა და თხილამურების გაყიდვა.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ვან გოგის მუზეუმი ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლებს

საქართველოს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საფრანგეთში, ქალაქ არლში მდებარე ვინსენტ ვან გოგის მუზეუმი ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლებს. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მხატვრისა და ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები ერთ სივრცეში გამოიფინება.**

გამოფენა „NIKO PIROSMANI - A Wanderer Between Worlds“, ვენაში, ალბერტინას მუზეუმში სამი თვით იყო წარმოდგენილი და ის 400 ათასამდე ვიზიტორმა იხილა. ამჯერად დამთვალიერებელი ფიროსმანის გამოფენას საფრანგეთში, არლის ვან გოგის მუზეუმში ნახავს. **გამოიფინება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან ნიკო ფიროსმანაშვილის 29 ნამუშევარი და ვინსენტ ვან გოგის მიერ 1884-1889 წლებში შესრულებულ 6 ნამუშევარი, მათ შორის ისეთი შედევრები, როგორებიცაა „არლელი ქალბატონი“, „ხის მჭრელი“, „ფეხსაცმელები“, „მთესავი ჩამავალი მზის ფონზე“. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იქნება პარიზის ზდანევიჩის ფონდში დაცული ილია ზდანევიჩის ხელნაკეთი წიგნი სახელწოდებით „ფიროსმანაშვილი 1914“. წიგნში შესულია პაბლო პიკასოს მიერ შესრულებული გრავიურა „ფიროსმანის პორტრეტი“.**

გამოფენების მთავარი მიზანია ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მშობლები დააკავეს

იტალიაში **ყოფილი პრემიერ-მინისტრის მატეო რენცის მშობლებს შინა პატიმრობა მიუსაჯეს.**

ტიციანო რენცი და ლაურა ბოვილის საკუთარი ფირმის არაკანონიერი გაკოტრება და თაღლითობა ბრალდებათ!

„მატეო რენცი, რომელიც იტალიის პრემიერი 2014 წლის დასაწყისიდან 2016 წლის ბოლომდე გახლდათ, ამ ყველაფერს მის პოლიტიკურ საქმიანობას მიაწერს. „მე რომ პოლიტიკაში არ ვიყო, ჩემს ოჯახს ლაფში არ ამოსვრიდნენ, მე რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ვზრუნავ, სწორედ ამიტომ არ აძლევენ ჩემს მშობლებს მშვიდად ცხოვრების საშუალებას“, — აცხადებს ყოფილი პრემიერი.

როდის გაანათებს ცას ყველაზე დიდი სუპერმთვარე

თებერვლის **სავსე მთვარე ცას მალე გაანათებს და წლის ყველაზე დიდი სუპერმთვარე იქნება. ამის შესახებ CNN-ი წერს. სუპერმთვარე ცაზე სავსემთვარეობის დროს ჩნდება, რადგან ამ დროს დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი ორბიტაზე მოძრაობისას ჩვენს პლანეტასთან ყველაზე ახლოს არის. სუპერმთვარემ თავის პიკს სამშაბათს, 19 თებერვალს, თბილისის დროით 19:54 წუთზე (10:54 a.m. ET) მიაღწია, თუმცა ამ დროს თვალისთვის ხილული არ იყო. ამიტომ სფეროს სპეციალისტები გვირჩევდნენ, რომ სუპერმთვარისთვის თვალი ორშაბათიდან გვედევნებინა.**

სავსე მთვარე იმ ადამიანებისთვის იქნება საინტერესო, რომელთაც სუპერმთვარის ფოტოზე აღბეჭდვა ხიბლავთ. ამ დროს მთვარე ჰორიზონტზე ყველაზე ახლოს იქნება. თებერვლის სუპერმთვარე ცნობილია, როგორც თოვლის მთვარე. ყოველთვე სავსე მთვარეს სხვა სახელით მოიხსენიებენ. ეს იმის მიხედვით, თუ განსაკუთრებით რა ასოცირდება დროის ამ პერიოდთან. ეს იმიტომ, რომ საუკუნეების წინათ სავსე მთვარე სეზონის ცვლილებასთან იყო დაკავშირებული.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6404; ევრო - 2.9908;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4130
100 რუბლი - 3.9608; თურქული ლირა - 0.4984;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5578;
1000 სომხური დრამი - 5.4162.

ამინდი 20 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -5, დღე +7
მთიანი რაიონები - ღამე -12, დღე +6
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -2, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -9, დღე +9
თბილისი: ღამე -1, დღე +5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge